დამხმარე სასწავლო რესურსი
სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის

Ministry for Foreign Affairs of Finland

ქეისები და დილემები მედიაწიგნიერების სწავლებისთვის

თბილისი 2024

დამხმარე სასწავლო რესურსი
სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის

Ministry for Foreign Affairs of Finland

ქეისები და დილემები მედიაწიგნიერების სწავლებისთვის

თბილისი, 2024

ქეისები და დილემები მედიაწიგნიერების სწავლებისთვის

პროექტის ხელმძღვანელი: ქრისტინე ღონღაძე
პროექტის ექსპერტი: სოფიკო ლობჟანიძე
სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი: მაკა ბიბილეიშვილი
რედაქტორი: რიტა ბაინდურაშვილი

2024 წ.

წინამდებარე დამხმარე რესურსი მომზადდა პროექტის „მედიაწიგნიერება, როგორც მექანიზმი დეზინფორმაციის წინააღმდეგ მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის“ მონაწილეთა მიერ.
პროექტი „მედიაწიგნიერება, როგორც მექანიზმი დეზინფორ-მაციის წინააღმდეგ მოსწავლეებისა და მასწავლებლების-თვის“ სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმმა გა-ნახორციელა საქართველოში ფინეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ რესურსში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრებათ ავტორებს და ისინი არ შეიძლება, აღქმული იყოს საქართველოში ფინეთის საელჩოს ან ფინეთის რესპუბლიკის შეხედულებად.

სარჩევი

- წინასიტყვაობა
- ქეისებით და დილემებით სწავლება

ქეისები:

- ნინის ოცნება
- სიკეთე თუ...
- გიორგისა და თეკლას ისტორია
- ანის პროტესტი
- ამბავი, რომელიც სოციალურ საწარმო „პატრონუსს'' გადახდა
- ფარულად გამჟღავნებული სიმართლე
- მოახლოებული არჩევნები
- თემი ტყის პირას
- თესეა
- ძმის საფიქრალი
- ინტერნეტთაღლითობა
- „ბედნიერება“ ვირტუალურ სამყაროში
- ლელას ისტორია
- არასრულწლოვანი მოდელი
- ვირტუალური მეგობარი
- სიკეთე თუ დანაშაული
- სალომეს გასაჭირი
- ჰოლოკოსტი
- გიგას პირველი სამსახური

დილემები

- ნიკას ამბავი
- ნიას დილემა
- ნატო მასწავლებლის დილემა
- პროფესიული არჩევანი

- ლუკას არჩევანი
- „წყვილურთხმელა”
- კანონი თუ მორალი?!
- ნიკოს პროფესიული არჩევანი
- რა ქნას ნინიმ?

- ქეისის შეფასების ჰოლისტური რუბრიკა
- ქეისის შეფასების ანალიტიკური რუბრიკა
- გამოყენებული და სარეკომენდაციო ლიტერატურა:

წინასიტყვაობა

პროექტი „მედიაწიგნიერება, როგორც მექანიზმი დეზინ-ფორმაციის წინააღმდეგ მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის“ განხორციელდა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის მიერ საქართველოში ფინეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის მიზანს წარმოადგენდა მასწავლებლებში და მოსწავლეებში მედიაწიგნიერების უნარების განვითარება და, ამ გზით, იმ მზარდ საფრთხესთან ბრძოლა, როგორიც დეზინფორმაციაა. აღნიშნული პრობლემა დიდი გამოწვევაა ქართული გარემოსთვისაც, სადაც სხვადასხვა ტიპის მედიის გამოყენებით არაერთი მცდარი თუ დეზინფორმაციული მასალა ვრცელდება საზოგადოებისთვის მეტად მნიშვნელოვან და სენსიტიურ საკითხებზე, რაც ნეგატიურად აისახება საზოგადოების სტაბილურობაზე. რეალობა აჩვენებს, რომ ამ პრობლემის მიმართ საზოგადოება არც თუ ისე მედეგია, ხოლო მასწავლებლებს, ვინც მედიის, როგორც მეოთხე ხელისუფლების, ინფორმაციის გამოყენების, გადამოწმების, კიბერჰიგიენისა თუ სხვა, არაერთი საკითხის შესახებ ასწავლიან მოსწავლეებს, სწავლების უკეთესი შედეგების მისაღწევად მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ.

სწორედ ამ მიზნით, პროექტი მასში ჩართული მასწავლებლებისთვის არაერთ, თეორიულ თუ პრაქტიკულ აქტივობას ითვალისწინებდა. პროექტის მონაწილე პედაგოგებს შესაძლებლობა ჰქონდათ, სამომავლო გამოყენების მიზნით, თავად შეექმნათ გრძელვადიანი სასწავლო რესურსი ქეისებისა და დილემების სახით. ქეისებითა და დილემებით სწავლება წარმოადგენს პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდოლოგიას, რა დროსაც მოსწავლეები ცდილობენ, გადაჭრან მოცემული პრობლემური სიტუაცია, გააკეთონ მორალურად დილემური არჩევანი, იკვლიონ პრობლემის საფუძველი და მისი გადაჭრის ალტერნატიული გზების პოვნა სცადონ. მეთოდი მეტად შემოქმედებითია, ხელს უწყობს

კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის განვითარებას და შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესის ზრდას. ქვემოთ მოცემულია საგაკვეთილო პროცესში ქეისებისა და დილემების განხორციელების ეტაპები და შეფასების რუბრიკები.

წინამდებარე რესურსში სწორედ იმ 28 დილემასა და ქეისს გაეცნობით, რომლებიც პროექტის მონაწილე პედაგოგებმა შეიმუშავეს. მიუხედავად იმისა, რომ რესურსში თავმოყრილი ქეისებისა და დილემების ძირითადი თემაა მედიაწიგნიერება, მასში ისეთი მრავალფეროვანი საკითხებია მოცემული, როგორიცაა: სამომხმარებლო ცნობიერება, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, პერსონალური მონაცემები, ბავშვთა უფლებები, მეწარმეობა, დემოკრატია, მონაწილეობა და ა. შ.

ქეისებით და დილემებით სწავლება

შემთხვევის ანალიზი / ქეისებით სწავლება

მეთოდის ისტორიული განვითარება

შემთხვევის ანალიზი, როლურ და სიმულაციურ თამაშებთან ერთად, სწავლების იმ ინტერაქტიულ მეთოდთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც მოსწავლეებს რეფლექსური და გადაწყვეტილების მიღებისკენ ორიენტირებული ქცევისთვის განაწყობს. მისი მიზანია, მოსწავლეებს განუვითაროს ანალიტიკური, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ეს მეთოდი პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდთა რიცხვში შედის. ასეთი ტიპის სწავლების დროს მოსწავლეები რეალური ცხოვრებისეული პრობლემების კვლევის გზით მნიშვნელოვან გამოცდილებას იძენენ, რაც მათ მთელი სიცოცხლის განმავლობაში გამოადგებათ წარმატების მისაღწევად.

შემთხვევის ანალიზი, როგორც სწავლების მეთოდი, პირველად ჰარვარდის სამართლის სკოლაში გამოიყენეს. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორებმა ტრადიციული ლექციური მეთოდის გვერდით ალტერნატიულის დანერგვა დაიწყეს, რომელიც ორიენტირებული იყო პრაქტიკულ/რეალურ შემთხვევათა დისკუსიებზე, რეალური სიტუაციების ანალიზზე, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებაზე. მეთოდს უფრო და უფრო ინტენსიურად იყენებდნენ და დროთა განმავლობაში შემთხვევის ანალიზი სწავლების დამოუკიდებელ კონცეფციად ჩამოყალიბდა. სპეციალურ ლიტერატურაში შემთხვევის ანალიზს ხშირად ჰარვარდის მეთოდად იხსენიებენ.

ამჟამად ამ მეთოდს ინტენსიურად იყენებენ სტუდენტთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებში, თუმცა, ბოლო ხანს დასავლეთში აქტიურად დაიწყო მისი დანერგვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც.

მეთოდის ძირითადი სტრუქტურა

შემთხვევის ანალიზის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტები/მოსწავლეები მსჯელობენ პრაქტიკიდან მოპოვებულ/ცხოვრებისეულ შემთხვევებზე და ჯგუფური დისკუსიით იძენენ უნარს, ეძებონ ალტერნატიული გადაწყვეტილებები, დაასაბუთონ მათი მართებულობა და საჭიროება და რეალობასთან შეაჯერონ. წესისამებრ, შემთხვევები პატარა ჯგუფებში (ოთხიდან ექვს კაცამდე) განიხილება, რომლებშიც "საქმის მასალებს" ეცნობიან, შეიმუშავებენ წინადადებებს და აუდიტორიას წარუდგენენ მათ. ამ დროს მოსწავლეები სწავლობენ ინფორმაციის შეკრებას, კითხვების დასმას, მასალის შეფასებას, ალტერნატივების ჩამოყალიბებას, გადაწყვეტილების მიღებას და სხვ. დიდაქტიკურად სწორად წარმართული შემთხვევის ანალიზის დროს გამოყენებულია სხვადასხვა თვალსაჩინო მასალა – ტაბულები, დიაგრამები, ფოტოსურათები, ფილმები, კარიკატურები და სხვ.

პრაქტიკაში შემთხვევის ანალიზის სხვადასხვა ვარიანტი ჩამოყალიბდა, რომელთა ძირითადი მიზნები ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაგრამ ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი აქვთ – შემთხვევები რეალური, ცხოვრებისეული გამოცდილებიდანარისაღებულიდამათზემუშაობასტუდენტს/მოსწავლეს საშუალებას აძლევს, მიღებული თეორიული ცოდნის ინტეგრირება მოახდინოს რეალურ ცხოვრებასთან. ამ დროს მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა და თავად უხდება წამოჭრილ პრობლემასთან გამკლავება – იგი არკვევს, რა უნდა იცოდეს პრობლემის უკეთ გასაგებად, დამოუკიდებლად ეძებს საჭირო ინფორმაციას (წიგნებს, გამოკვლევებს, ანგარიშებს, ელექტრონულ ინფორმაციას) და ა.შ. ამის შემდეგ იგი, აღჭურვილი ახალი ცოდნით, კვლავ უბრუნდება პრობლემას, ეძებს და პოულობს გადაჭრის საუკეთესო გზას. ბოლოს მოსწავლე საკუთარ და ჯგუფის სხვა წევრთა გადაწყვეტილებებს აფასებს და რეალურად მიღებულ

გადაწყვეტილებას ადარებს. ყოველივე ეს მას ეფექტიან, დამოუკიდებელ სწავლაში ეხმარება. შემთხვევის ანალიზით სწავლა მოსწავლისთვის უფრო საინტერესო და სახალისოა, რაც მის შინაგან მოტივაციასა და შესასწავლი საგნისადმი ინტერესს ზრდის.

მეთოდის ვარიანტები

შემთხვევის ანალიზის რამდენიმე ინტერპრეტირებული ვარიანტი არსებობს:

1. Case-Stady მეთოდი - მეთოდის ამ ვარიანტში შემთხვევები საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი, მოცემულია დაწვრილებითი ინფორმაცია საკითხის/პრობლემის ირგვლივ და რეალურად გამოყენებული გადაჭრის გზა, თუმცა, რა პრობლემასთან გვაქვს საქმე, პირდაპირ არ ჩანს – ის შეფარვით არის ნაჩვენები სიტუაციაში. შემთხვევის დამუშავების დროს აქცენტი, პირველ რიგში, პრობლემის იდენტიფიცირებაზე კეთდება, ასევე – ანალიზზე, სინთეზზე, პრობლემის გადაჭრის განსხვავებული გზის პოვნაზე და მისი მართებულობის დასაბუთებაზე.

2. Case-Problem მეთოდი - ამ ვარიანტში პრობლემა უკვე მკაფიოდაა წარმოჩენილი, ასე რომ, სტუდენტების/მოსწავლეების მთელი ძალისხმევა მიმართულია პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ალტერნატივის შემუშავებისკენ, მართებულობის დასაბუთებისკენ და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისკენ.

3. Case-Incident მეთოდი - ამ ვარიანტის შემთხვევაში მოსწავლეთა საქმიანობა, უმთავრესად, ინფორმაციის მოძიებისკენ არის მიმართული, რადგან წარმოდგენილი შემთხვევა არასრულია და არ შეიცავს პრობლემის ამოსაცნობად, გასაანალიზებლად და გადაჭრის გზების საძიებლად საჭირო ყველა ინფორმაციას. ამ ვარიანტზე მუშაობისას მოსწავლეები თავად უნდა მიხვდნენ, რა აკლია მოცემულობას და დამატებითი ინფორმაცია მოიპოვონ. ეს საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს,

თუმცა, ის პრაქტიკასთან, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ყველაზე ახლოს მდგომად განიხილება, რადგან მოსწავლეებს დამატებითი ინფორმაციის მოძიების პროცესში რეალურად უხდებათ შეხება აღნიშნულ შემთხვევასთან/პრობლემასთან.

4. Stated-Problem მეთოდი - ეს ვარიანტი იმით გამოირჩევა, რომ სიტუაციაშივე დევს მოცემული პრობლემის გადაჭრის გზები და მათი მართებულობის დასაბუთება. მოსწავლეებმა უნდა გააანალიზონ პრობლემის გადაჭრის თითოეული გზა, გამოყონ ძლიერი და სუსტი მხარეები, კრიტიკულად შეაფასონ არსებული ხედვები, ეძებონ, იპოვონ და დაასაბუთონ გადაჭრის საკუთარი გზა[1] .

შემთხვევის ანალიზზე მუშაობის ფაზები

გამოიყოფა შემთხვევის ანალიზზე მუშაობის ექვსი ფაზა, რომელთა თანამიმდევრობა, თითოეული ფაზის დროს განსახორციელებული აქტივობა და მიზანი ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია წარმოდგენილი[2].

ფაზები	ქმედება/აქტივობა	მიზანი
კონფრონტაცია შემთხვევასთან	შემთხვევის გაცნობა	მოსწავლეები ჩასწვდნენ აღწერილ სიტუაციას და მასში მიღებულ გადაწყვეტილებას

[1]შემთხვევის ანალიზის ზემოთ მოყვანილი ვარიანტები ამოღებულია წიგნიდან: Kaiser, F. J. Entscheidungstraining. Die Methoden der Entscheidungsfindung. Bad Heilbrunn 1976)

[2]ცხრილი ადაპტირებულია წყაროებიდან:
Kaiser (Hrsg.): Die Fallstudie. Theorie und Praxis der Fallstudiendidaktik (Forschen und Lernen, Bd. 6) Bad Heilbrunn 1983
Hoffmann, B.; Langefeld, U.: Methoden-Mix, 1998

მუშაობა ინფორმაციაზე	სიტუაციის გაანალიზება და/ან დამატებითი ინფორმაციის მოძიება	მოსწავლეები აანალიზებენ და აფასებენ მოცემულ ინფორმაციას და დამატებით ინფორმაციას მოიპოვებენ პრობლემის უკეთ გადაჭრის მიზნით
დისკუსია ჯგუფის შიგნით	პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების შემუშავება, თავმოყრა და თითოეული მათგანის ძლიერ, სუსტ მხარეებსა და შედეგებზე მსჯელობა	მოსწავლეებს დივერგენტული აზროვნება უვითარდებათ
შეთანხმება ჯგუფის შიგნით	ჯგუფში დისკუსიის შემდეგ შემოთავაზებული ალტერნატივებიდან საუკეთესოს არჩევა	მოსწავლეებს კამათისა და შეფასების უნარი უვითარდებათ
დისპუტი მთელი კლასის მონაწილეობით	ჯგუფებში მიღებული გადაწყვეტილების გაცნობა კლასისთვის, მიღებული გადაწყვეტილების მართებულობის დასაბუთება და ხელახალი დისკუსია მთელი კლასის მონაწილეობით	მოსწავლეებს არგუმენტირებულად დასაბუთების უნარი უვითარდებათ
შედარება	ჯგუფების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედარება შემთხვევაში მოცემულ/რეალურად მიღებულ ადაწყვეტილებასთან და რეკომენდაციების შემუშავება	მოსწავლეებს რეფლექსიისა და ტრანსფერის უნარი უვითარდებათ

შემთხვევის ანალიზის ზემოთ წარმოდგენილი სტრუქტურა გადაწყვეტილების მიღების პროცესის ტიპურ მიმდინარეობას გამოხატავს, თუმცა, ამ პროცესის ცალკეული ფაზა შეიძლება როგორც გამორჩეულად სწრაფად, ასევე გამორჩეულად ნელა მიმდინარეობდეს ან საერთოდ გამოტოვონ მეთოდის ამა თუ იმ ვარიანტის შემთხვევაში.

დილემებით სწავლება V a KE-ზე დაფუძნებით

VaKE (Values and Knowledge Education - ღირებულებებისა და ცოდნის განათლება) არის სწავლა-სწავლების მეთოდი, რომელიც ცოდნის შეძენასთან ერთად, მოსწავლეებს უვითარებს ღირებულებებს, საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს და სწავლა-სწავლების მიზნების მიღწევას აიოლებს.

VaKE-ის კონცეფცია კონსტრუქტივისტური სწავლების პრინციპებს ეფუძნება და სასწავლო პროცესში მისი გამოყენებით მოსწავლეები კონკრეტულ საგანში, ან ინტეგრირებული სწავლებისას შეიძენენ როგორც ცოდნას, ასევე, ეთიკურ ღირებულებებს განივითარებენ.

VaKE-ის მიზნები:

• ღირებულებების გააზრება და ქცევაში ასახვა - დილემის განხილვისას მოსწავლეები აფასებენ განსხვავებულ მოსაზრებებს ღირებულებებზე, რაც ხელს უწყობს მათ მიერ ღირებულებების სიღრმისეულ გააზრებას, მათთვის წარმმართველ ღირებულებაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღებას და საკითხზე ცოდნის გარღმავების შემდეგ ღირებულებათა გადაფასებას.

• მიღებული ცოდნის გამოყენება - მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ, გაიაზრონ, რას სწავლობენ და როგორ შეუძლიათ ნასწავლის გამოყენება. სასწავლო პროცესის მიზანი ამ შემთხვევაში არ არის ფაქტების უმიზნო დამახსოვრება ან დაზეპირება, არამედ სასწავლო მასალის ინტენსიური განხილვა და საგანთაშორისი ცოდნის აგება.

• პრობლების გადაჭრის უნარისა და, შესაბამისად, კრიტიკული აზროვნების განვითარება - მოსწავლეები პრობლემას სხვადასხვა კუთხით განიხილავენ, სხვადასხვა პერსპექტივიდან სწავლობენ მას, განიხილავენ და იაზრებენ პრობლემასთან დაკავშირებულ განსხვავებულ მოსაზრებებს, აფასებენ საკუთარ და სხვათა გადაწყვეტილებებს და არგუმენტირებულად მსჯელობენ.

• დამოუკიდებელი სწავლის უნარის განვითარება და მოსწავლეთა ჩამოყალიბება თვითრეგულირებად შემსწავლელებად - მოსწავლეები დამოუკიდებლად იძიებენ და ამზადებენ მათთვის საჭირო ინფორმაცას (მაგალითად, აღმოაჩენენ და ინიშნავენ მნიშვნელოვან ფაქტებს), გეგმავენ საკუთარ სასწავლო პროცესს (მაგალითად, შეაჯამებენ და გამოაქვთ დასკვნები) და შესწავლილ თეორიულ კონცეფციებს პრაქტიკასთან აკავშირებენ (მაგალითად, თეორიულ ცოდნას კონკრეტულ მაგალითებში იყენებენ).

• გუნდური მუშაობისა და, შესაბამისად, თანამშრომლობის უნარის განვითარება - უსაფრთხო და სასიამოვნო სამუშაო გარემო მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას უვითარებს მოსწავლეებს და გუნდის სრულყოფილ წევრებად აგრძნობინებს თავს მათ; ასევე, უყალიბდებათ ახალი იდეებისა და საკუთარი ცოდნის გუნდში წარდგენის უნარი, სწავლობენ სხვის მოსმენას, განსხვავებულ მოსაზრებებზე შეთანხმებას, კონფლიქტებზე მსჯელობას, სხვებზე ზრუნვას და მიღებული შედეგების გაზიარებას სხვებისთვის.

VaKE-ით მუშაობის ნაბიჯები

ნაბიჯი	შინაარსი	ძირითადი როლი და სწავლების სოციალური ფორმა	კომპეტენციები
დილემის მომზადება და წარდგენა	მასწავლებელი ამზადებს სასწავლო მიზნის შესაბამის დილემას და წარუდგენს კლასს	მასწავლებელი	ცოდნა, უნარები და ღირებულებები

ვალიდური ღირებულებების განსაზღვრა	რომელი ღირებულებები დგას დისკუსიის ცენტრში? მოსწავლეები დილემაში მოცემული წამყვანი ღირებულებების იდენტიფიცირებას ახდენენ	კლასი	ღირებულებები
რეფლექსია - პირველი გადაწყვეტილების მიღება	ინდივიდუალურად არჩევანის გაკეთება - ვეთანხმები დილემაში მიღებულ გადაწყვეტილებას, არ ვეთანხმები, ან ვერ მივიღე გადაწყვეტილება	ინდივიდუალურად	ღირებულებები
პოზიციის არგუმენტირება	კლასი მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით ჯგუფდება; არგუმენტირებულად ასაბუთებენ მიღებული გადაწყვეტილების მართებულობას	ჯგუფებში	ღირებულებები
გამოცდილების გაზიარება/ჯგუფური პოზიციის პრეზენტაცია	ჯგუფები საკუთარი პოზიციების არგუმენტებს წარმოადგენენ	კლასი	ღირებულებები
საჭირო დამატებითი ინფორმაციის განსაზღვრა	რომელი კითხვები რჩება პასუხგაუცემელი; მოსწავლეები იდენტიფიცირებას ახდე-ნენ, თუ რა დამატებითი ინფორმაცია დასჭირდებოდათ მიღებული გადაწყვეტილების განმტკიცებისთვის ან გადაწყვეტილების შესაცვლელად	კლასი	ღირებულებები
დამატებითი ინფორმაციის მოძიება	რომელი ინფორმაციის/ ინფორმაციების მოძიებაა საჭირო საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად	ინდივიდუალურად ან ჯგუფურად	ცოდნა

ინფორმაციის გაცვლა ერთმანეთს შორის	როგორია მიღებული შედეგები და საკმარისია თუ არა მოძიებული ინფორმაცია	კლასი	ცოდნა
რეფლექსია და მეორადი გადაწყვეტილების მიღება	დამატებით მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოსწავლეებს შეეძლებათ, გადააფასონ პირველად მიღებული გადაწყვეტილება	ინდივიდუალურად	ღირებულებები
პოზიციის მეორადი არგუმენტირება	კლასი მეორადი გადაწყვეტილების მიხედვით ჯგუფდება; არგუმენტირებულად ასაბუთებენ ამ გადაწყვეტილების მართებულობას და ხსნიან, თუ რამდენად დაეხმარათ მიღებული ცოდნა ამ გადაწყვეტილების მიღებაში	ჯგუფი	ღირებულებები ცოდნა
გამოცდილების გაზიარება და ინფორმაციის სინთეზი (დისკუსია დილემის შესახებ)	რომელი არგუმენტები ეყრდნობა მიღებულ ახალ ცოდნას?	კლასი	ღირებულებები
საბოლოო პროდუქტი, სინთეზი (ინფორმაციების შეჯერება)	რა შედეგამდე მივიდა კლასი	კლასი	ღირებულებები, ცოდნა
გენერალიზაცია და ტრანსფერი	მოსწავლეები ფართო კონტექსტში განაზოგადებენ საკითხს	კლასი	ღურებულებები, ცოდნა

თუ დილემასთან დაკავშირებული კითხვები პასუხგაუცემელი დარჩება საკითხის შესახებ, შესაძლებელია, მასწავლებელმა მოსწავლეები კვლავ დააბრუნოს დამატებითი ინფორმაციის მოძიების ფაზაზე, შემდეგ ისევ გაუზიარონ ერთმანეთს მოპოვებული ინფორმაცია და ხელახლა მიუბრუნდნენ მეორადი გადაწყვეტილების მიღების ფაზას.

ქეისები

ნინის ოცნება

საკითხი: სამომხმარებლო ცნობიერება

მიზანი: მოსწავლეთათვის ინტერნეტსივრცეში სამომხმარებლო ცნობიერების ამაღლება.

მე ნინი ვარ, 15 წლის. ჩემი ოცნება საყვარელი ჯგუფის კონცერტზე დასწრება იყო. ვეწვიე ოფიციალურ ვებგვერდს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველა ბილეთი გაყიდულია. კონცერტის დაწყებამდე ერთი დღე რჩებოდა. სოციალურ ქსელში გაჩნდა რეკლამა, სადაც მითითებული იყო ვებგვერდი, რომელიც სასურველ ბილეთებს გვთავაზობდა. რა თქმა უნდა, ეს შესაძლებლობა გამოვიყენე - სასწრაფოდ დავაწკაპუნებმულს, გადავედი ვებრგვერდზე და ბილეთი შევიძინე.

ნანატრი დღეც დადგა. დიდი მოლოდინით ვიდექი კონცერტზე დამსწრეთა დაუსრულებელ რიგში. შესასვლელში ჩემი ბილეთი სკანერის ქვეშ გაატარეს, მაგრამ რეგისტრატორმა სივრცის დატოვება მომთხოვა, რადგან ჩემი ბილეთი ნამდვილი არ აღმოჩნდა. გაკვირვებული, იმედგაცრუებული და სახეაწითლებული გავეცალე იქაურობას.

სიტუაცია შემდეგი გეგმის მიხედვით გააანალიზეთ:

- იმსჯელეთ, რა პრობლემასთან გვაქვს საქმე;
- გააანალიზეთ, შეაფასეთ ნინის ქცევა;
- მიეცით ნინის დასაბუთებული რჩევები;
- რა ცოდნასა და უნარებს უნდა ვფლობდეთ, რომ მის მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთ?

დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

სიკეთე თუ...



საკითხი: სონალური მონაცემები და მედიასივრცე.

მიზანი: მოსწავლემ გააცნობიეროს სხვისი გრძნობებისა და ღირებულებების პატივისცემის მნიშვნელობა; ასევე - პერსონალური მონაცემების ეთიკურად და კანონის ფარგლებში გამოყენების აუცილებლობა.

ნინოს მამას მძიმე დიაგნოზი დაუსვეს - ფილტვის სიმსივნის მესამე სტადია. გოგონამ ამის შესახებ ტირილით უამბო თავის საუკეთესო მეგობარს - მარიამს. მარიამი ძალიან შეშფოთდა და ნინოს გასაჭირი კლასელებს გაანდო; ისიც უთხრა, რომ სახელმწიფო სუფსიდიის მიუხედავად, ოპერაციას საკმაოდ სოლიდური თანხა სჭირდებოდა. კლასელებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს, დახმარებოდნენ ნინოს. მათ ეს ამბავი დამრიგებელს უამბეს, რომელმაც საქმის კურსში ჩააყენა დირექცია. დირექტორმა მხარი დაუჭირა მოსწავლეთა ინიციატივას. მათ სოციალურ ქსელში განათავსეს ნინოს მამის ფოტო, მისი დიაგნოზი, ტელეფონის ნომერი, რომლის საშუალებითაც ანგარიშზე თანხის ჩარიცხვას შეძლებდა ყველა მსურველი და საზოგადოებისგან ფინანსური მხარდაჭერა ითხოვეს. ამ ინიციატივას მშობლებიც შემოუერთდნენ, გააზიარეს ინფორმაცია და ცდილობდნენ, რაც შეიძლება, მეტი თანხა შეგროვილიყო.

რამდენიმე დღეში სკოლაში აღელვებული მივიდა ნინოს დედა და დირექტორს პასუხი მოსთხოვა ნინოს კლასელების მიერ განხორციელებულ ქმედებაზე. მან კატეგორიულად მოითხოვა სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციის აღება.

სადისკუსიო კითხვები:

• რამ განაპირობა ნინოს თანაკლასელების, მასწავლებლებისა და მშობლების ქცევა? რომელი ღირებულება იყო წამყვანი?

• როგორ შეაფასებდით კლასელებისა და სასკოლო საზოგადოების დანარჩენი წევრების ქმედებას?

• რას შეიძლებოდა გამოეწვია ნინოს დედის ასეთი აღშფოთება?

• თქვენ როგორ მოიქცეოდით მარიამისა თუ დანარჩენი თანაკლასელების ადგილას?

გთხოვთ, დაასაბუთოთ თქვენი გადაწყვეტილების მართებულობა.

• რა ცოდნისა და უნარების ფლობაა აუცილებელი მსგავს სიტუაციებში სწორად მოქმედებისთვის?

გიორგისა და თეკლას ისტორია

საკითხი: უფლებები და პასუხისმგებლობები ონლაინ სივრცეში, პერსონალური მონაცემების დაცვა.

მიზანი: მოსწავლეებმა გააცნობიერონ გამოხატვის ფორმების ეთიკურობის მნიშვნელობა, პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობა.

მეცხრეკლასელმა გიორგიმ გადაწყვიტა, გახუმრებოდა მეგობარს - თეკლას. მან კლასის საერთო ჩატიდან ჩამოტვირთა თეკლას ფოტოსურათი, რომელზეც იგი მაკიაჟითა და სადღესასწაულო სამოსითაა, ხოლო ერთ-ერთი ვიდეოსაუბრის დროს დაუკითხავად გადაიღო თეკლას ფოტო საშინაო ფორმით. დაამონტაჟა მიმი: ზედა ნაწილში მოათავსა თეკლას გაპრანჭული ფოტო და დააწერა - ,,გოგოები დედაქალაქიდან'', ქვედა ნაწილში კი თეკლას საშინაო ფოტო ჩასვა წარწერით- ,,ჩემი კლასელი გოგოები''.

ეს ფოტო გიორგიმ საკუთარ გვერდზე ატვირთა და გაასაჯაროვა. განაწყენებულმა თეკლამ კი ამის საპასუხოდ შურისძიება გადაწყვიტა. მან კარგად იცოდა, რომ გიორგი ვერ იტანდა, როცა ცხვირის სიგრძეზე ეხუმრებოდნენ. ამიტომ გაკვეთილის პროცესში ფოტო გადაუღო პროფილში, პროგრამით დაამუშავა, დაუგრძელა ცხვირი, მეჭეჭი დაასვა და დააწერა - ,,კუდიანი''.

გააანალიზეთ სიტუაცია შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით:

• რა პრობლემას ხედავთ მოცემულ ამბავში? გამოყავით ძირითადი პრობლემები;

• როგორ შეაფასებთ გიორგის საქციელს?

• როგორ შეაფასებთ თეკლას საპასუხო ქცევას?

• თქვენ როგორ მოიქცეოდით გიორგისა და თეკლას ადგილას?

• თუ აღმოჩენილხართ მსგავს სიტუაციაში და რა იგრძენით? როგორ აფასებთ თქვენს მაშინდელ საქციელს დღეს?

• საკუთარ გამოცდილებასა და მოცემულ ქეისზე დაყრდნობით იმსჯელეთ ონლაინსივრცეში ადამიანის უფლებებსა და პასუხისმგებლობებზე.

ანის პროტესტი

საკითხი: კიბერუსაფრთხოება

მიზანი: მოსწავლეებმა იმსჯელონ უფლებებსა და პასუხისმგებლობებზე ონლაინსივრცეში; გააცნობიერონ პერსონალური მონაცემების გავრცელების საფრთხეები.

მეცხრე კლასის მოსწავლეებმა დახურული ფეისბუქჯგუფი შექმნეს. ერთ მშვენიერ დღეს კი გადაწყვიტეს, რომ ჯგუფში საკუთარი სასაცილო ფოტოები აეტვირთათ, რომლებსაც ყველა თანაკლასელი დაასათაურებდა. ბავშვებმა ეს ინიციატივა აიტაცეს და ფოტოების ატვირთვა დაიწყეს. მთელი კლასი ძალიან ხალისობდა მანამ, სანამ ერთი ინციდენტი არ მოხდა. ფოტოების ატვირთვიდან რამდენიმე დღის შემდეგ ანიმ შემთხვევით აღმოაჩინა, რომ სასაცილო სურათი, რომელიც მეგობრების ჯგუფში გააზიარა, ატვირთული იყო უცნობი ადამიანის ფეისბუქგვერდზე. ანი გაოცებული და შეშფოთებული დარჩა ამ ფაქტით. მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა მეგობრების დახურული ჯგუფიდან ფოტოს საჯარო სივრცეში გავრცელება. გამაქილიკებელმა კომენტარებმა კიდევ უფრო დათრგუნა იგი.

ანი მიხვდა, რომ მხოლოდ თანაკლასელებს შეეძლოთ მისი ფოტოს გასაჯაროება და, ძალიან გაბრაზებულმა, პროტეტის ნიშნად, ჯგუფი დატოვა, საკუთარ თავში ჩაიკეტა, თანაკლასელებს აღარ ემეგობრებოდა, ყველას ეჭვის

თვალით უყურებდა და მუდმივად სთხოვდა დედას სხვა სკოლაში გადაყვანას.

ქეისი შემდეგი ინსტრუქციის მიხედვით გააანალიზეთ:

- იპოვეთ პრობლემა;
- იმსჯელეთ ქეისის პერსონაჟების ქცევაზე;
- კონკრეტულ ქეისზე დაყრდნობით იმსჯელეთ თქვენს უფლებებსა და პასუხისმგებლობებზე ონლაინსივრცეში.

ამბავი, რომელიც სოციალურ საწარმო „პატრონუსს“ გადახდა

საკითხი: ყალბი ინფორმაციის გავლენა ბიზნესის მდგრადობაზე.

მიზანი: გააანალიზონ ყალბი ინფორმაცის საფრთხეები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესის მდგრადობაზე.

სოციალური საწარმო „პატრონუსი'' ქართულ ბაზარზე 2017 წელს გამოჩნდა. საწარმო პროექტის „აწარმოე საქართველოსთვის“ ფარგლებში დაფუძნდა. ,,პატრონუსი'' ხის ეკომეგობრულ სათამაშოებს აწარმოებდა. კომპანიაში დასაქმებული იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობისა და სოციალურად დაუცველი პირები და მრავალშვილიანი დედები. საწარმო წარმატებით ფუნქციონირებდა ქართულ ბაზარზე, ჰყავდა მრავალრიცხოვანი ნდობით აღჭურვილი და დაინტერესებული მომხარებელი, აღებული ჰქონდა სოციალური პასუხიმგებლობაც- ბავშვთა განვითარების დღის ცენტრებს სათამაშოებით ამარაგებდა.

ყველაფერი ძალიან კარგად მიდიოდა, სანამ სოციალურ ქსელში ქეთი ნ-ს პოსტი გამოჩნდებოდა.

ქეთი სტუდენტია და უანგაროდ არის ჩართული ბუნების დაცვის ღონისძიებებში, ხშირად თავადაც გვევლინება ეკომეგობრულიაქტივობებისორგანიზატორად. მისსოციალურ ქსელში მუდმივად იდება საინტერესო და შემეცნებით პოსტები ამ მიმართულებით. ქეთის არაერთი დადებითი

პოსტი გამოუქვეყნებია „პატრონუსის“ საქმიანობის შესახებ. ეს პოსტები იმდენად მომხიბვლელია, რომ მისი მიმდევრების რიცხვი დღითიდღე იზრდება.

ერთ-ერთმა მიმდევარმა ქეთის პირად შეტყობინებაში მისწერა, რომ საწარმო „პატრონუსის'' მიერ გამოყენებული საღებავები ბავშვების ჯანმრთელობას აზიანებს და ამ ინფორმაციის გაზიარება სთხოვა ქეთის, რადგან მას მრავალი გამომწერი ჰყავდა, ნდობა იყო მაღალი და პოსტის ნახვის შემდეგ მშობლები თავს შეიკავებდნენ, შვილებისთვის ,,პატრონუსის'' სათამაშოები შეეძინათ.

ინფორმაციის მიღებიდან მეორე დღესვე ქეთის პირად გვერდზე გაჩნდა ახალი პოსტი სათაურით - „საწარმო ,,პატრონუსის'' სათამაშოები ვითომ ეკომეგობრულია?!“

პოსტი ელვის სისწრაფით გააზიარეს ქეთის გამომწერებმა. მშობლებმა მისი განხილვა დაიწყეს, გაჩნდა უარყოფითი კომენტარები. შეშინებული მშობლები თავიდან იშორებდნენ ,,პატრონუსის'' სათამაშოებს; კატასტროფულად იკლო ,,პატრონუსის'' პროდუქციის გაყიდვების რიცხვმაც, რამაც ფირმის გაკოტრება და საწარმოს დახურვა გამოიწვია.

სიტუაცია შემდეგი სადისკუსიო კითხვების მიხედვით გააანალიზეთ:

- რა პრობლემას/პრობლემებს გამოყოფდით ამ ამბავში?
- როგორ შეაფასებდით ქეთის ქცევას? დაასაბუთეთ პასუხი.
- თქვენ როგორ მოიქცეოდით ქეთის ადგილას? მოიყვანეთ დამაჯერებელი არგუმენტები.
- თქვენ რომ ,,პატრონუსის'' დამფუძნებელი/წამომადგენელი/მენეჯერი ყოფილიყავით, რას მოიმოქმედებდით? როგორ გადაწყვეტდით საწარმოს ბედს?

ფარულად გამჟღავნებული სიმართლე

საკითხი: ბულინგი

მიზანი: მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება საკუთარი თუ სხვა ადამიანების უფლება-მოვალეობების დაცვის მიზნით.

ერთ-ერთ სკოლაში რამდენიმე უფროსკლასელი თანხას სძალავდა უმცროსკლასელებს. გამომძალველი მოსწავლეები როგორც სოციალური ქსელით (სკოლის შიდა ჩატით), ასევე, პირისპირ საუბრებისას, ავრცელებდნენ ინფორმაციას, თითქოს ამ პროცესს მოსწავლეთა სხვა ჯგუფი თაოსნობდა. უსამართლოდ ბრალდებული ბავშვები დუმდნენ, რადგან ისინი გამომძალველებმა დააშინეს.

სკოლაში მომხდარი ეს არასასიამოვნო ინციდენტი დისციპლინურმა კომიტეტმა განიხილა და, სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ გამოძალვაში მხილებული მოსწავლეები დასჯილიყვნენ.

მეათეკლასელი გიორგი საგონებელში ჩავარდა. მან იცოდა, რომ გამომძალველთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი იყო ლევანი, მისი თანაკლასელი, რომელიც მაღალი აკადემიური მოსწრებითა და ლიდერის უნარებით გამოირჩეოდა, თანაც მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური წევრი გახლდათ. სკოლის ხელმძღვანელობა და მასწავლებლები დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე. გამოძალვაში უსამართლოდ მხილებული იყო ერთ-ერთი მოსწავლე - დათო, ასევე მისი

თანაკლასელი, თუმცა, ლევანისგან განსხვავებით, არც სწავლით გამოირჩეოდა, არც - პოზიტიური ქცევით, ხშირად ერეოდა არეულობებსა და გაუგებრობებში და პრობლემებს უქმნიდა სკოლას.

გიორგის ძალიან აწუხებდა უსამართლოდ მიღებული გადაწყვეტილება და თვლიდა, რომ გარკვეული დანაშაული მასაც მიუძღვოდა, რადგან დუმდა. ბოლოს მან სოციალურ ქსელში ყალბი ანგარიში გახსნა და ანონიმურად გაავრცელა სიმართლე. მისმა ,,პოსტებმა'' კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია სკოლაში, თუმცა, დისციპლინურმა კომიტეტმა გადაწყვეტილება მაინც არ შეცვალა მტკიცებულებათა არარსებობის გამო.

გთხოვთ, სიტუაცია შემდეგი შეკითხვების მიხედვით გააანალიზოთ:

- გამოკვეთეთ სიტუაციაში არსებული პრობლემა/პრობლემები;
- რომელია პირველი შეცდომა, რამაც უდანაშაულო მოსწავლეების დადანაშაულება გამოიწვია? გთხოვთ, დაასაბუთოთ პასუხი;
- ამართლებთ თუ არა გიორგის მიერ გადადგმულ ნაბიჯს (ყალბი ანარიშის შექმნას)? გთხოვთ, დაასაბუთოთ პასუხი;
- რას ურჩევდით გიორგის და რატომ?
- როგორ უნდა მოქცეულიყვნენ დისციპლინური კომიტეტის წევრები (რას ურჩევდით მათ)? გთხოვთ, დაასაბუთოთ პასუხი;
- რა უნდა ვიცოდეთ და რა უნდა გავითვალისწინოთ მსგავს სიტუაციაში მართებული გადაწყვეტილების მისაღებად?

მოახლოებული არჩევნები

საკითხი: ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები
მიზანი: მედიაში გავრცელებული ინფორმაციის გავლენა საარჩევნო გარემოზე.

მაღალმთიანი რეგიონის ერთ-ერთ სოფელში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდება. დეპუტატობის კანდიდატად საკუთარი თავი ამავე სოფლის მცხოვრებმა ირმა ბ-მ წარადგინა, რომელიც 34 წლის, ორი შვილის მარტოხელა დედაა, პროფესიით ინჟინერი. ირმა აქტიურადაა ჩართული თემის ცხოვრებაში. თემის საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად არაერთხელ მიუმართავს პეტიციით ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. დონორის ფინანსური დახმარებით მან სოციალური საწარმო დააარსა, სადაც რძის პროდუქტებს გადაამუშავებენ. საწარმოში დასაქმებულნი სოციალურად დაუცველი ქალები არიან. ირმას, ასევე, ჩამოყალიბებული აქვს ქალთა კლუბი, რომლის მუშაობა ხელს უწყობს ქალების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. ქალები თემისთვის აქტუალურ საკითხებს აგვარებენ, რაც ქალთა მიმართ არსებულ სტერეოტიპებს ამსხვრევს.

მას შემდეგ, რაც ირმამ თვითმმართველობის არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა დაასახელა, სოფელში ხმა დაირხა კორუფციაში მისი მონაწილეობის შესახებ, მალე სოციალურ

ქსელში მისი პირადი ცხოვრების შესახებაც გავრცელდა ინფორმაცია, რასაც აუდიო ჩანაწერებიც დაემატა. ამდენმა ცილისწამებამ დათრგუნა ირმა და გადაწყვიტა, საკუთარი კანდიდატურა მოეხსნა.

სიტუაცია შემდეგ შეკითხვებზე დაყრდნობით გააანალიზეთ:

- ეთანხმებით თუ არა ირმას გადაწყვეტილებას? მოიყვანეთ არგუმენტები;
- როგორ მოიქცეოდით ირმას ადგილას? დაასაბუთეთ თქვენი გადაწყვეტილების მართებულობა;
- განაზოგადეთ აღწერილი პრობლემა და იმსჯელეთ მსგავს სიტუაციაში მართებულ ქცევაზე.

თემი ტყის პირას

საკითხი: დეზინფორმაცია და ყალბი ამბავი

მიზანი: მოსწავლეები გაიაზრებენ დეზინფორმაციის არსსა და მნიშვნელობას მშვიდობიანი თანაარსებობისთვის.

ერთ ტყისპირა თემში განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები ცხოვრობდენ. მათ შორის ხშირი იყო შერეული ქორწინება. ისინი ერთმანეთის დღესასწაულებსაც აღნიშნავდნენ. თემში სრული ჰარმონია სუფევდა.

ერთ დღეს სოციალურ ქსელში თემში მცხოვრები ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს ისინი საუკუნეების წინ ძალადობრივი გზით დასახლდნენ ამ ტერიტორიაზე, რადგან ეს ადგილი ძვირ-ფასი მადნეულით იყო მდიდარი. ამ მადანს ისინი მეკობრუ-ლი გზით მოიპოვებდნენ და დიდი ეკონომიკური სარგებე-ლიც ჰქონდათ, რამაც ამ ეთნიკური ჯგუფის დაწინაურებასა და მისი გავლენის ზრდას შეუწყო ხელი.

ეს ამბავი ვირუსულად გავრცელდა სოციალური ქსელ-ში. ამ ინფორმაციით რეგიონული ტელევიზია და პრესაც დაინტერესდა, რამაც კიდევ უფრო გაამყარა ხალხში აზრი ამ ჯგუფის ძალადობრივი გზით დასახლებისა და მეკობრეო-ბის შესახებ. მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას თან ახლდა ინტერვიუ თემის სხვა ჯგუფის წევრთან, რომელიც ინფორმაციის ნამდვილობას ამტკიცებდა წინაპართა გად-მოცემებით.

ინფორმაციის გავრცელებას თემში დაძაბულობა და კონფლიქტის გაღვივება მოჰყვა. მალე თემის მოსახლეობა გაუცხოვდა. ისინი უკვე მტრად აღიქვამდნენ ერთმანეთს. კონფლიქტმა თემიდან ოჯახებშიც გადაინაცვლა.

გთხოვთ, სიტუაცია შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით გააანალიზოთ:

- რა პრობლემას ხედავთ ქეისში?
- რამ განაპირობა ამ პრობლემის/პრობლემების წარმოშობა?
- რამდენად სანდოა გავრცელებული ინფორმაცია? რამ შეიძლება, დაგარწმუნოთ გავრცელებული ინფორმაციის სანდოობაში?
- ვის აძლევს ხელს ამ ინფორმაცის გავრცელება?
- როგორ უნდა გავარკვიოთ, სიმართლეა თუ არა ეს ინფორმაცია?
- თქვენ რომ თემის / მედიის წარმომადგენელი იყოთ, როგორ მოიქცეოდით?
- თქვენ, როგორც წარმომადგენელი იმ ჯგუფისა, რომელზეც ეს არასასურველი ინფორმაცია გავრცელდა, როგორ მოიქცეოდით და რატომ?
- თქვენ, როგორც თემში მცხოვრები სხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელი, როგორ მოიქცეოდით და რატომ?
- რა კომპეტენცია გვჭირდება ინფორმაციის ნამდვილობის დასადგენად?

თესეა

საკითხი: დემოკრატიული სკოლა (მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები)

მიზანი: მოსწავლეებში საზოგადოებრივი ჩართულობისა და სამოქალაქო მონაწილეობის უნარების განვითარება; ონლაინსივრცეში საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერება.

ერთ-ერთ საჯარო სკოლაში დირექციამ საკუთარ ფეისბუქის გვერდზე გამოაქვეყნა საჯარო ინფორმაცია სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების შესახებ და მოსწავლეებს მოუწოდა, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში და წარმოედგინათ კანდიდატურები.

ამავდროულად, დირექციამ დამრიგებლებს მისცა რეკომენდაცია, საკუთარ კლასებში შეერჩიათ მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები და ეზრუნათ, რომ ისინი გამხდარიყვნენ კლასის წარმომადგენლები მოსწავლეთა თვითმმართველობაში.

ამავე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ, ანამ, რომელსაც კარგად გამართული საარჩევნო პროგრამა ჰქონდა წარმოდგენილი, აღმოაჩინა, რომ საარჩევნო კანდიდატთა სიაში ვერ მოხვდა. ანამ ჩათვალა, რომ მისი უფლებები დაირღვა, ინფორმაცია მოიძია საჯარო სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების წესის შესახებ და

გადაწყვიტა, პროტესტის ნიშნად, სოციალურ ქსელში საჯაროდ დაეწერა თავის კედელზე, რომ მისი საარჩევნო უფლება დაირღვა. ანამ ისიც ახსენა, რომ მის თანაკლასელს, გიორგის, საარჩევნო პროგრამა საერთოდ არ ჰქონდა, თუმცა, ის მაინც მოხვდა საარჩევნო კანდიდატთა სიაში. ანამ მონიშნა რესურსცენტრი, განათლების სამინისტრო და რეაგირებისკენ მოუწოდა მათ.

ანას ,,პოსტი'' ბევრმა ადამიანმა გააზიარა, რასაც მოჰყვა როგორც დადებთი, ისე უარყოფითი გამოხმაურება. ამან კი სასკოლო საზოგადოებაში დიდი დაპირისპირება გამოიწვია. სკოლის ხელმძღვანელობამ ანას მშობლებს კატეგორიულად მოსთხოვა პოსტის სასწრაფოდ წაშლა.

გააანალიზეთ სიტუაცია შემდეგი კითხვების დახმარებით:

- რა პრობლემას/პრობლემებს ხედავთ მოცემულ სიტუაციაში?
- იმსჯელეთ, სკოლის თვითმმართველობის არჩევნების პროცესსა და პროცედურებზე, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრების ფუნქცია-მოვალეობებზე და პასუხისმგებლობაზე.
- იმსჯელეთ, რა უფლებები და პასუხისმგებლობა აქვს ადამიანს ონლაინსივრცეში?
- გააანალიზეთ და შეაფასეთ სიტუაციაში მონაწილე მხარეების ქმედებები.
- თქვენ როგორ დაიცავდით საკუთარ უფლებებს ანას ადგილას? დაასაბუთეთ თქვენი გადაწყვეტილება.

ძმის საფიქრალი

საკითხი: კიბერდანაშაული, ადიქცია

მიზანი: მოსწავლეები გააცნობიერებენ ადიქციის ნეგატიურ შედეგებს; აუმაღლდებათ ცნობიერება კიბერდანაშაულის შესახებ და გამოუმუშავდებათ მასთან გამკლავების უნარები.

ლაშა და ნიკა ძმები არიან. ლაშა დამოკიდებულია აზარტულ თამაშებზე და ხშირად იღებს ვალებს. ერთ საღამოს, როდესაც იგი სახლში დაბრუნდა, ნიკას კომპიუტერში სოციალური ქსელის მომიწერა ჩართული დახვდა. ნიკა სახლში არ იყო. იმ მომენტში ლაშას ძალიან სჭირდებოდა თანხა და ნიკას სახელით მისწერა მის მეგობარ გელას, რომ დედა მოულოდნელად ცუდად გახდა, საავადმყოფოში გადაიყვანეს და სასწრაფოდ გარკვეული თანხა სჭირდებოდა. გელას ეჭვიც არ შეპარვია და ლაშას დაუყოვნებლივ ჩაურიცხა თანხა ანგარიშზე.

მეორე დღეს გელა ნიკას შეეხმიანა და დედამისის მდგომარეობა მოიკითხა. ნიკა დაიბნა, მაგრამ როდესაც გადახედა სოციალური ქსელის მიმოწერას, მიხვდა, რაშიც იყო საქმე და გელას უპასუხა: „მადლობა, დედა უკეთაა“.

გააანალიზეთ ძმის დილემა შემდეგი შეკითხვების მიხედვით:

• თქვენი აზრით, რა პრობლემები იკვეთება მოცემულ სიტუაციაში?

• რა დილემის წინაშე დგას ნიკა?

• თქვენი აზრით, რომელი ღირებულებები დაუპირისპირდა ერთმანეთს მოცემულ ამბავში?

• რომელ ღირებულებებზე დაყრდნობით მიიღო ნიკამ გადაწყვეტილება?

• როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორად მოიქცა ნიკა მოცემულ სიტუაციაში? პასუხი დაასაბუთეთ.

• თქვენ როგორ მოიქცეოდით ნიკას ადგილას? რატომ?

• რა ვერ გაითვალისწინა გელამ მოცემულ სიტუაციაში?

• თქვენი აზრით, როგორ აისახებოდა ლაშას მომავალ ქმედებებზე ის ფაქტი, რომ ნიკამ მას მხილების ნაცვლად ხელი დააფარა?

• სიტუაციაზე დაყრდნობით იმსჯელეთ ადიქციის ნეგატიურ შედეგებზე და კიბერდანაშაულთან გამკლავების გზებზე.

ინტერნეტთაღლითობა



საკითხი: პერსონალური მონაცემების დაცვა და უსაფრთხოება

მიზანი: ცნობიერების ამაღლება პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ.

მე-11 კლასელმა გიორგიმ, რომელიც კარგი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევა, გადაწყვიტა მუშაობის დაწყება თავისი სურვილებისა და ოცნებების ასასრულებლად. მას ანაბარზე ჰქონდა გარკვეული თანხა - დაბადების დღეზე ნაჩუქარი და მშობლებისგან მიცემული ჯიბის ფულიდან დანაზოგი, რასაც თავისი შრომით გამომუშავებული თანხაც დაუმატა.

გიორგიმ სოციალურ ქსელში მიიღო შეტყობინება, რომ შორეული ნათესავისგან მემკვიდრეობით დარჩა საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხა. ამის შემდეგ ისევ სოციალური ქსელის საშუალებით, მას დაუკავშირდა პიროვნება, რომელიც ადვოკატად გაეცნო და მემკვიდრეობის მისაღებად დოკუმენტაციის წარმოებაში დახმარება შესთავაზა. ამ ფაქტის შესახებ გიორგიმ მშობლებს აცნობა. ოჯახს ძალიან გაუხარდა და ეჭვიც არ შეპარვიათ, რადგან ბაბუა ემიგრაციაში იყო წასული და იქ გარდაიცვალა. მემკვიდრეობის მისაღებად გიორგიმ ადვოკატს მიაწოდა მოთხოვნილი პირადი ინ-

ფორმაცია: საკონტაქტო ნომერი, პ|ნ, ანგარიშის ნომერი. გახარებული ოჯახი უკვე ერთად გეგმავდა ლამაზ მომავალს, მაგრამ რამდენიმე დღეში გიორგიმ აღმოაჩინა, რომ პირად ანგარიშზე დაგროვილი თანხა სადღაც გაქრა.

გიორგი და მისი მშობლები აღშფოთებულები და დაბნეულები არიან - არ იციან, რა მოიმოქმედონ და როგორ აინაზღაურონ დანაკარგი.

გთხოვთ, სიტუაცია შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით გააანალიზოთ:

- თქვენი აზრით, რა პრობლემასთან გვაქვს საქმე?
- შეაფასეთ გიორგისა და მისი ოჯახის გადაწყვეტილება;
- თქვენ როგორ მოიქცეოდით გიორგის ადგილას მსგავს სიტუაციაში? რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ქცევა იქნებოდა მართებული?
- რა კომპეტენციის ფლობაა აუცილებელი, რომ მსგავს სიტუაციებს გავუმკლავდეთ და არ დავრჩეთ დაზარალებული?

„ბედნიერება“ ვირტუალურ სამყაროში

საკითხი: ადიქცია

მიზანი: მოსწავლეებში გაჯეტებზე მიჯაჭვულობის ნეგატიური შედეგების გაცნობიერება.

ნია აქტიური მოსწავლეა, აკადემიური მოსწრებითა და წარმატებული კლუბის ლიდერობით გამოირჩევა. ეფექტური კომუნიკაციისა და საკუთარი უნარების ხარჯზე იგი სოციალური ქსელის მეშვეობით საკლუბო აქტივობებს ახორციელებს. განსაკუთრებული პოპულარობა პროექტმა „მე ვზრუნავ ქუჩის ოთხფეხა გენერლებზე” მოუტანა; თვლის, რომ თვითრეალიზებული და ბედნიერია. თუმცა, სოციალურ ქსელთან სისტემატურმა კავშირმა გოგონა რეალურ სამყაროს მოწყვიტა. მას ყველა ცნობს სოციალურ სივრცეში და თვითონაც ვირტუალურ არსებად იქცა.

თუმცა, ის, რაც ბედნიერებას ანიჭებს ნიას, სხვადასხვა მიზეზით მიუღებელია დედისთვის და მასწავლებლებისთვის: მან სწავლას მოუკლო, მასწავლებლების შენიშვნებზე პასუხობს, რომ ბოლო პერიოდში აწუხებს უძილობა, თავის ტკივილი, უჩივის მხედველობის გაუარესებას, მუდმივად ტელეფონის ეკრანს დაჰყურებს. მშობლებს, მასწავლებელსა და მეგობრებს ისიც არ გამორჩენიათ, რომ ხშირად გოგონა გაღიზიანებულია. დედა განსაკუთრებულად განიცდის

შვილის მდგომარეობას, არ მოსწონს ნიას დღის რეჟიმი, მაგრამ არ სურს პრობლემა ხმამაღლა აღიაროს და საკუთარი შესაძლებლობითაც ვერაფერს ცვლის.

გთხოვთ, სიტუაცია შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით გააანალიზოთ:

- რა პრობლემასთან გვაქვს საქმე?
- გააანალიზეთ და შეაფასეთ ნიას ცხოვრების წესი. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები;
- რა უნდა გააკეთონ მასწავლებელმა, მშობელმა და კლუბის წევრებმა პრობლემის გადასაჭრელად? დაასაბუთეთ;
- თქვენ როგორ მოიქცეოდით ნიას ადგილზე? დაასაბუთეთ მოსაზრებები.

ლელას ისტორია

საკითხი: ნაადრევი ქორწინება

მიზანი: ადამიანის უფლებრივ მდგომარეობაზე ადრეული ქორწინების გავლენის გაცნობიერება; ნაადრევი ქორწინების საფრთხისგან თავდაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

ლელა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ოჯახის წევრებმა ადრეულ ასაკში იძულებით დააქორწინეს შეძლებულ ბიჭზე. თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად იყო და ლელაც შეეგუა ბედს. თუმცა, ქმარი ალკოჰოლზე დამოკიდებული და მოძალადე აღმოჩნდა. ოჯახის წინააღმდეგობის მიუხედავად, ლელამ მარტო ცხოვრება გადაწყვიტა, ქალიშვილის გაზრდაც მარტოს მოუწია. ანაზღაურების გამო იძულებული გახდა, საცხობში დამატებითი დროით ემუშავა. სწავლის გაგრძელებას ვერ ახერხებს, რადგან საშუალო სკოლაც ვერ დაამთავრა, აქედან გამომდინარე, უკეთესი სამსახურის მოძებნა გაუჭირდა. ამასთან, ლელას მძიმე მშობიარობის გამო სუსტი ჯანმრთელობა აქვს.

გაუსაძლის მდგომარეობას ყოფილი მეუღლის მხრიდან სხვადასხვა ფორმით ძალადობრივი შევიწროებაც ემატებოდა, მაგრამ ლელა სამართალდამცავების ჩარევისაგან ყოველთვის იკავებდა თავს.

ლელა კარგი დედაა და წარმატებული შვილი ჰყავს, რომლის აღზრდაშიც ყოფილ ქმარს წვლილი არ მიუძღვის.

ქალიშვილმა კონკურსში გაიმარჯვა და გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ სასწავლებლად მიიწვიეს. და რადგან გოგონა არასრულწლოვანია, გამგზავრებისთვის ორივე მშობლის თანხმობაა საჭირო, რაზეც უარს ამბობს მამა.

გთხოვთ, იმსჯელოთ შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით:

- რა პრობლემასთან გვაქვს საქმე?
- რა გავლენა იქონია ნაადრევმა ქორწინებამ ლელას ცხოვრებაზე?
- რა ტიპის უფლებები დაირღვა ლელას შემთხვევაში დაოჯახებამდე? დაოჯახების შემდეგ?
- ლელას მაგალითზე განაზოგადეთ, რამდენად მოქმედებს ნაადრევი ქორწინება შვილების ცხოვრებაზე?
- როგორ მოიქცეოდით ლელას ადგილას და რატომ?
- რა სამართლებრივი ცოდნა გვჭირდება მსგავს სიტუაციებში?

არასრულწლოვანი მოდელი

საკითხი: ტრეფიკინგი
მიზანი: ტრეფიკინგის შესახებ ცნობიერების ამაღლება

ანა 14 წლის, გამორჩეული სილამაზის გოგონაა. გარეგნობის გამო ხშირად უცნობი ადამიანებიც ეუბნებიან კომპლიმენტებს. მამის გარდაცვალების შემდეგ ანას და მის ოჯახს ფინანსური პრობლემები დაეწყოთ, რასაც უმცროსი ძმის მოულოდნელი ტრავმაც დაერთო და უცხოეთში ხანგრძლივი სამედიცინო მკურნალობა გახდა საჭირო.

ერთ დღეს ანას დედამ სოციალურ ქსელში ფოტო-სტუდიის მიერ გამოქვეყნებული განცხადება ნახა, სადაც ეწერა, რომ ფოტო-გადაღებებისთვის 14-16 წლის გოგონებს ეძებდნენ. დედას ბევრი არ უფიქრია და ქასთინგზე საკუთარი შვილის ფოტოები გაგზავნა. მალე სტუდიასთან ზეპირი შეთანხმება შედგა და ოჯახს სოლიდურ ფინანსურ ანაზღაურებას დაჰპირდნენ.

ანას ფოტოები დიდი პოპულარობით სარგებლობდა სოციალურ ქსელში. ოჯახმა ფინანსური პრობლემები თითქოსდა მოაგვარა, წარმატებით მიმდინარეობდა ძმის მკურნალობაც. მალე იტალიიდან წარმომადგენლები ჩამოვიდნენ და ანას სამოდელო კურსებზე სამი თვით მილანში შესთავაზეს წაყვანა.

დედა შემოთავაზებას დათანხმდა და წარმომადგენლებს მინდობილობაც კი მისცა ქვეყნიდან ანას გაყვანის თაობაზე. თავდაპირველად საქმეები გეგმის მიხედვით მიდიოდა, მაგრამ რამდენიმე დღეა ანა ტელეფონს აღარ პასუხობს. დედა ვერც სააგენტოს წარმომადგენლებს უკავშირდება.

გთხოვთ, იმსჯელოთ შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით:

- რა პრობლემები იკვეთება ქეისში?
- რა არის ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზები?
- როგორ შეაფასებდით დედის ქმედებებს?
- გაიხსენეთ საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც მოცემულ შემთხვევას უკავშირდება და იმსჯელეთ, ბავშვის რა უფლებებია ამ შემთხვევაში დარღვეული.

ვირტუალური მეგობარი

საკითხი: ტრეფიკინგი
მიზანი: ტრეფიკინგის შესახებ ცნობიერების ამაღლება

16 წლის ლიზი ბავშვობაში ძალიან ლაღი და მხიარული იყო, თუმცა, მშობლების გაშორების შემდეგ ხასიათში რადიკალური ცვლილებები დაეწყო. ის კიდევ უფრო ჩაიკეტა მას შემდეგ, რაც დედა უცხოეთში წავიდა სამუშაოდ. მეგობრებთანაც გაურთულდა ურთიერთობა. ბებია და ბაბუა მის გამხიარულებას ცდილობდნენ, თუმცა, ამაოდ. ლიზი დიდ დროს ატარებდა სოციალურ ქსელებში, თანატოლთა ჯგუფებში ერთიანდებოდა. ერთ-ერთ ჯგუფში გაიცნო თანატოლი საბრიე, რომელიც დუბაიში ცხოვრობდა. მათ მალე გამონახეს საერთო ენა. ვირტუალური მეგობრები საათობით საუბრობდნენ ინგლისურად მუსიკაზე, საყვარელ ცხოველებზე. ლიზის სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდა. გადიოდა დრო. გოგონა ვირტუალური მეგობრის გარეშე ერთ დღესაც ვეღარ ძლებდა - ესაუბრებოდა პირად ამბებზე, მონატრებულ დედაზე, ოჯახის წევრებზე, განაწყენებულ მეგობრებზე. საბრიე ყოველთვის ყურადღებით უსმენდა ლიზის, რჩევებს აძლევდა და უყურადღებოდ არასოდეს ტოვებდა. ახალ წელს კი არაჩვეულებრივი სიურპრიზი გაუკეთა, როდესაც ფოსტით საახალწლო საჩუქარი მოუვიდა საბრიესგან.

ლიზის ბევრჯერ უთქვამს სოციალური ქსელის მეგობრისთვის, რომ ძალიან უნდა გარემოს შეცვლა. დიდი სიამოვნებით წავიდოდა უცხოეთში, თუ იქ დასაქმდებოდა. საბრიემ ლიზის ეს სურვილიც აუსრულა. კომპანიის მონაცემები გამოუგზავნა, სადაც დასაქმებას ჰპირდებოდნენ და თვითმფრინავის ბილეთის აღებასაც დაჰპირდა. ლიზის დიდი ხნის ოცნება ახდა, თუმცა, გადაწყვეტილების მიღება მაინც უჭირდა.

სადისკუსიო კითხვები:

- რა პრობლემები იკვეთება ქეისში?
- რა არის ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები?
- როგორ შეიძლება განვითარდეს ლიზის მომავალი?
- ბავშვის რა უფლებებია დარღვეული?
- გაიხსენეთ საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც ქეისს უკავშირდება.

სიკეთე თუ დანაშაული

საკითხი: პერსონალური მონაცემების დამუშავება
მიზანი: პერსონალური მონაცემების ეთიკურად გამოყენების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

მტრედისუბნის საჯარო სკოლის კლასის დამრიგებელმა ვიოლეტამ მეცხრე კლასელი სვეტას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ ინფორმაცია გაანდო მოსწავლეებს, რათა ემპათიის გრძნობა გაეღვივებინა მათში, რომ მოსწავლეებს სვეტასთან ურთიერთობისას გაეთვალისწინებინათ ეს ფაქტი და უფრო ყურადღებითა და თანადგომით მოპყრობოდნენ მას. თანაკლასელთა უმრავლესობა სვეტას ავადმყოფობამ შეაწუხა და რადგან სვეტას ოჯახი სოციალურად დაუცველთა ჯგუფს მიეკუთვნებოდა, გადაწყვიტეს, მისდამი თანადგომა შემდეგნაირად გამოეხატათ: თანაკლასელებმა სოცილურ ქსელში სვეტას სურათი ატვირთეს და დაურთეს საკმაოდ გულისამაჩუყებელი ტექსტი, რომლითაც ისინი სოციალური ქსელის მომხმარებლებს სვეტას მკურნალობისთვის ფინანსურ მხარდაჭერას სთხოვნდენ.

თანაკლასელთა ქმედებას საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა მოჰყვა და დროის მცირე მონაკვეთში გარკვეული თანხა შეგროვდა, რამაც მოსწავლეები ძალიან გაახარა

- მცირედით მაინც შეძლებდნენ მეგობრის თანადგომას. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი პირიქით დატრიალდა. როდესაც სოციალურ ქსელში თანაკლასელების პოსტს წააწყდა, სვეტა ძალიან ანერვიულდა და ემოციურ ფონზე ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუუარესდა. ამ ფაქტით გაღიზიანებული სვეტას მშობლები სკოლაში მივიდნენ და დირექტორს მოსთხოვეს, სასწრაფოდ გამქრალიყო პოსტი საჯარო სივრციდან, დაესაჯათ მისი გამოქვეყნების ინიციატორები და თანაკლასელებს ბოდიში მოეხადათ სვეტასთვის. მოსწავლეები გაურკვევლობის განცდამ შეიპყრო და მასწავლებელს კითხვით მიმართეს: რა გავაკეთეთ არასწორად?

გთხოვთ, ქეისი შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით გააანალიზოთ:

- როგორ შეაფასებთ მასწავლებლის ქმედებას?
- როგორ აფასებთ სვეტას თანაკლასელების ქმედებას? რა ამოძრავებდათ მათ?
- რა გრძნობა დაგეუფლებოდათ სვეტას მდგომარეობაში რომ აღმოჩენილიყავით და რატომ? როგორ მოიქცეოდით მის ადგილას?
- თქვენ რომ სვეტას მასწავლებელი იყოთ, თანაკლასელთა კითხვაზე - რა არ გავაკეთეთ სწორად - რას უპასუხებდით? გთხოვთ, მოსწავლეებს მიეცით დასაბუთებული პასუხი, რა უნდა გაითვალისწინონ და რატომ სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელებისას?

სალომეს გასაჭირი

საკითხი: პერსონალური მონაცემების დაცვა და უსაფრთხოება

მიზანი: პერსონალური მონაცემებისა და მათი გამოყენების შესახებ ცნობიერების ამაღლება

სალომემ თავის პერსონალურ კომპიუტერში მისი უმცროსი ძმის, ლევანის ფეისბუქ გვერდზე გახსნილი შეტყობინებები აღმოაჩინა. გოგონამ თავიდან დააპირა დაეხურა გვერდი, თუმცა, თვალში მოხვდა საეჭვო ტექსტი, რომლის წაკითხვის შემდეგაც შეიტყო, რომ ლევანი თანაკლასელ გოგონებს სასკოლო დავალებების შესრულებასა და მისთვის გაგზავნას აიძულებდა.

სალომე ძალიან გაბრაზდა და სცადა, ამ ფაქტთან დაკავშირებით დალაპარაკებოდა ძმას, თუმცა, მან არც კი მოუსმინა და აქეთ მოსდო შარი მისი პირადი მიმოწერის წაკითხვის გამო. სალომე დილემის წინაშე აღმოჩნდა.

შემთხვევა შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით გააანალიზეთ:

- რა დილემის წინაშე აღმოჩნდა სალომე?
- ვისი უფლებები დაირღვა/არ დაირღვა მოცემულ სიტუაციაში?
- თქვენი აზრით, რა მოხდება, თუ სალომე გამოააშკარავებს/არ გამოააშკარავებს ლევანის ქმედებას?
- თქვენ როგორ არჩევანს გააკეთებდით და რატომ? დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.

ჰოლოკოსტი

საკითხი: ინფორმაციის გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე

მიზანი: სუბიექტური მიდგომების ინფორმაციის საანდობაზე გავლენის გაცნობიერება

მე ჰანსი ვარ, გერმანიის მოქალაქე, მე-11 კლასის მოსწავლე. საზაფხულო არდადეგების დროს ერთ-ერთ პროექტში გავიმარჯვე და პრიზად მივიღე ეთნიკურად მრავალფეროვან ბანაკში რამდენიმე დღის გატარება.

ბანაკში მრავალი აქტივობა შემოგვთავაზეს, მათ შორის, საგაზეთო სტატიის მომზადება ჩვენი ქვეყნის შესახებ.

როგორც გერმანელს, ძალიან მაწუხებდა ის ფაქტი, რომ ჰოლოკოსტის საშინელი ისტორია ჩემს ერს უკავშირდებოდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ჩემი დიდი ბაბუა იმ პერიოდის სამხედრო მოსამსახურე იყო. ბაბუა ძალიან მიყვარდა, მისგან ბევრი საინტერესო ამბავი ვიცოდი.

შევეცადე, გამომეყენებინა შესაძლებლობა და იქ მყოფი საზოგადოებისთვის სხვა თვალით დამენახებინა იმ ადამიანების ისტორია, რომლებიც ამ პროცესებში მონაწილეობდნენ. სტატიაც სწორედ ბაბუაზე დავწერე.

ჩემმა სტატიამ არაერთგვაროვანი ემოციები გამოიწვია მოსწავლეებსა და მასწავლებლებში - ზოგი ტაშს მიკვრავდა გამბედაობისთვის, ზოგმა კი მისი შინაარსი პატივისა და ღირსების შელახვად მიიჩნია.

კითხვები დისკუსიისათვის:

- რა პრობლემასთან გვაქვს საქმე?
- გააანალიზე არსებული სიტუაცია. რა შედეგი მოჰყვა ფაქტს?
- შენ როგორ მოიქცეოდი? მიეცი რჩევები ჰანსს;
- რას ნიშნავს სიტყვის თავისუფლება შენთვის?
- უნდა არსებობდეს თუ არა რაიმე შეზღუდვა სიტყვის თავისუფლებაზე და თუ ასეა, როგორი უნდა იყოს ის?

გიგას პირველი სამსახური

საკითხი: შრომითი ურთიერთობები

მიზანი: შრომითი უფლებების გააზრება, ონლაინვაჭრობის მოსალოდნელი საფრთხეების გაცნობიერება.

პირველკურსელმა გიგამ დასაქმება გადაწყვიტა და აქტიურად დაიწყო ინტერნეტსივრცეში შესაფერისი სამუშაოს ძებნა. სოციალურ ქსელში მისთვის სასურველ განაცხადს მართლაც წააწყდა - ორგანიზაცია გამოცდილების გარეშე დასაქმების შესაძლებლობას იძლეოდა და თანაც მომხიბვლელი ანაზღაურებით. გიგას ბევრი არ უფიქრია და ონლაინ დაუკავშირდა კომპანიას. შემოთავაზებული პირობები მისაღები აღმოჩნდა, ამიტომ მაშინვე, ხელშეკრულების დადების გარეშე, დაიწყო მუშაობა. გიგას ევალებოდა ონლაინ მომხმარებლების დარწმუნება გარკვეული მომსახურების/პროდუქციის შესასყიდად და ონლაინ ხელშეკრულების გაფორმება მათთან. კომპანიასთან შეთანხმებული პირობების თანახმად, რაც უფრო მეტ მომხმარებელს მოიზიდავდა, მით უფრო მეტ თანხას გამოიმუშავებდა. ანაზღაურებითა და მსუბუქი საქმით კმაყოფილმა გიგამ რამდენიმე მეგობარსაც გაუწია რეკომენდაცია და იგივე კომპანიაში დაასაქმა.

გარკვეული პერიოდის შემდეგ გიგა და მისი მეგობრები ფინანსურ პოლიციაში დაიბარეს გამოკითხვაზე და აცნობეს, რომ ექვმიტანილები იყვნენ თაღლითობაში, დაზარალებული მომხმარებლების საჩივრის საფუძველზე. კომპანია,

რომელშიც გიგა და მისი მეგობრები დასაქმდნენ, მომხმარებლებს შესყიდვის თანხას აჭრიდა, მაგრამ პროდუქციას არ აწვდიდა. გაკვირვებული გიგა ამბობდა: „მე ხომ ჩემს სამუშაოს კეთილ-სინდისიერად ვასრულებდი?!“.

სამართალდამცავების თქმით, კომპანია სოციალურ ქსელში აღარც კი იძებნებოდა.

შემთხვევა შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით გააანალიზეთ:

• რა პრობლემა/პრობლემები დაინახეთ მოცემულ სიტუაციაში?

• რატომ აღმოჩნდნენ გიგა და მისი მეგობრები ეჭვმიტანილები?

• გააანალიზეთ და შეაფასეთ გიგას გადაწყვეტილებები/ქმედებები.

• გამოკვეთეთ გიგას, მისი მეგობრებისა და მომხმარებლების პასუხისმგებლობა;

• რა სახის ცოდნა დაეხმარებოდა გიგას ამ პრობლემის თავიდან არიდებაში? მომხმარებლებს?

• თქვენი აზრით, უნდა დაეკისროს თუ არა გიგას სამართლებრივი პასუხისმგებლობა?

• როგორ შეიძლება, სახელმწიფომ მსგავსი შემთხვევებისგან დაიცვას მომხმარებელი?

დილემები

ნიკას ამბავი

საკითხი: ინტელექტუალური საკუთრების უფლება
მიზანი: ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის გააზრება, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაცნობიერება.

ნიკას კლასს დასაწერად ჰქონდა დავალება, რომლის შესრულებაც მოსწავლეთა უმრავლესობას გაუჭირდა. იგი კარგად ფლობს უცხო ენას და ინტერნეტ სივრცეში აღნიშნულ საკითხზე მოიძია ნაშრომი, რომელიც სიტყვა-სიტყვით თარგმნა და მეორე დღეს კლასს წარუდგინა. მასწავლებელმა ნიკა შეაქო და მისი დავალება კლასში საუკეთესო ნაშრომად დაასახელა. თანაკლასელ თაკოს, რომელიც სწავლით გამორჩეული გოგონაა და ნიკას შესაძლებლობებსაც კარგად იცნობს, ეჭვი გაუჩნდა, რომ ბიჭს ამ დავალების დაწერა გაუჭირდებოდა. ამიტომ გადაწყვიტა, გადაემოწმებინა. ასეც მოიქცა და აღმოაჩინა, რომ თემა ნიკას დაწერილი არ იყო. თაკო ძალიან განაწყენდა, მაგრამ არ იცის, როგორ მოიქცეს - გაჩუმდეს და შექებით გამოწვეული ბედნიერება არ დაურღვიოს თანაკლასელს თუ სიმართლე გაამხილოს?

სიტუაცია შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით გააანალიზეთ:

• თქვენ როგორ მოიქცეოდით თაკოს ადგილას? (წარმოგვიდგინეთ არგუმენტები);

• როგორი შეიძლება, მსგავსმა შემთხვევებმა მოსწავლეთა მოტივაციაზე იმოქმედოს?

• როგორ აისახება ასეთი ქმედებები მოსწავლეთა განვითარებაზე?

• მიეცით ნიკას დასაბუთებული რჩევები, თუ როგორ გამოიყენოს მოძიებული ინფორმაცია სწორად.

ნიას დილემა



საკითხები: კიბერჰიგიენა სასკოლო გარემოში

მიზანი: სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისთვის სოციალური ქსელების პასუხისმგებლობით გამოყენების გაცნობიერება.

ბიუჯეტის შემუშავების დროს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით სკოლამ მოსწავლეთა ინიციატივების დასაფინანსებლად თანხა გამოყო. ამის საფუძველზე მოსწავლეთა თვითმმართველობამ იდეების კონკურსი გამოაცხადა საუკეთესო ინიციატივის გამოსავლენად. გამარჯვებულად ის საპროექტო იდეა გამოცხადდებოდა, რომელიც სოციალურ ქსელში ყველაზე მეტ მოწონებას დააგროვებდა.

გამოვლინდა გამარჯვებული პროექტი, რომელიც მე-10 კლასის მოსწავლეს, ვანოს ეკუთვნის. მის მეგობარს, ნიას, გულწრფელად მოსწონს ვანოს საპროექტო იდეა, რადგან ის მოსწავლეთა ინტერესებზეა მორგებული და სკოლის განვითარებას ემსახურება. ნიამ ისიც იცის, რომ მისმა მეგობარმა ბევრი იშრომა პროექტის შექმნაზე, თუმცა, აღმოაჩინა, რომ ვანომ მოწონებების დასაგროვებლად ყალბი ანგარიშები გამოიყენა.

ნია საგონებელშია ჩავარდნილი, არ იცის, როგორ მოიქცეს.

სიტუაცია შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით გააანალიზეთ:

• გთხოვთ, დაფიქრდეთ, რომელ წამყვან ღირებულებებს ხედავთ დილემაში?

• თუ ნია გაამჟღავნებს ვანოს საქციელს, რომელი ღირებულება იქნება მისთვის წამყვანი?

• თუ ნია არ გაამჟღავნებს ვანოს საქციელს, რომელი ღირებულება იქნება მისთვის წამყვანი?

• თქვენ როგორ მოიქცეოდით ნიას ადგილას? მოიყვენეთ არგუმენტები;

• მოიძიეთ ის დამატებითი ინფორმაცია, რომელიც თქვენი გადაწყვეტილების განმტკიცებაში/გადაწყვეტილების შეცვლაში დაგეხმარებათ;

• შეძენილ ცოდნაზე დაყრდნობით თუ შეიცვალა ან განმტკიცდა თქვენი პირველადი არჩევანი?

• გთხოვთ, მოიყვანეთ დამატებითი არგუმენტები მეორადი არჩევანის განსამტკიცებლად;

• განაზოგადეთ სიტუაცია და იმსჯელეთ მსგავს სიტუაციაში მართებულ ქცევაზე.

ნატო მასწავლებლის დილემა

საკითხი: კანონის უზენაესობა

მიზანი: მოსწავლეები გაეცნობიან საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონს და, კონკრეტულ სიტუაციაზე დაყრდნობით, ამ კანონის დაცვის აუცილებლობაზე იმსჯელებენ.

ნატო სამოქალაქო განათლების მასწავლებელია. ის აქტიური, საკუთარ პროფესიაზე შეყვარებული პედაგოგია, გამოირჩევა სიახლეებისადმი მზაობით, აქტიურად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროექტებსა და კონკურსებში; ამასთან, მუდმივად ეხმარება კოლეგებს პროფესიულ განვითარებასა და პრობლემების მოგვარებაში. ერთ-ერთ პროექტში მონაწილეობისას მას უფლება მისცეს, გამოეყენებინა საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ხელს უწყობდა ინკლუზიური გარემოს შექმნას კლასში; თან გააფრთხილეს, რომ რესურსი დაცული იყო საავტორო და მომიჯნავე უფლებებით და მისი გაზიარების უფლება არ ჰქონდა.

ერთ დღეს ნატო სამასწავლებლოში ასეთ სიტუაციას შეესწრო: დაწყებითი კლასის ახალბედა მასწავლებელი კოლეგებს უყვებოდა, რომ სსსმ მოსწავლე თანაკლასელებმა არ მიიღეს და შესაბამისად, ბავშვი გარიყულია.

მდგომარეობას მშობლების ნეგატიური დამოკიდებულებაც ართულებს. ახალბედა მასწავლებელი კოლეგებს რეკომენდაციებსა თუ დამხმარე სასწავლო რესურსებს სთხოვდა, რაც პრობლემის მოგვარებაში დაეხმარებოდა.

ნატო დარწმუნებულია, რომ პროექტის ფარგლებში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსი საუკეთესო საშუალებაა ემპათიის უნარის გასაღვიძებლად, რაც ასე სჭირდება მის კოლეგას; ახსოვს ის მძაფრი ემოციაც, რაც ამ რესურსების გაცნობისას დაეუფლა და მიაჩნია, რომ მისი გამოყენებით კოლეგა თანაგანცდას გაუღვიძებს მოსწავლეებსა და მშობლებს.

მასწავლებელი რთული არჩევანის წინაშე დგას - გაუზიაროს თუ არა სასწავლო რესურსი კოლეგას?

გთხოვთ, ნატო მასწავლებელს გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმაროთ.

სადისკუსიო კითხვები:

- რომელ წამყვან ღირებულებებს გამოყოფდით დილემაში?
- თქვენ რომელ ღირებულებას/ღირებულებებს დაეყრდნობით არჩევანისას?
- დაფიქრდით და თქვენი არჩევანი არგუმენტირებულად დაასაბუთეთ;
- რა შედეგს მოიტანს კოლეგისთვის რესურსის გაზიარება?
- რაზე გიწევთ უარის თქმა, თუკი რესურსს გააზიარებთ და რა რისკები ახლავს ამას?
- რა დამატებით ინფორმაციას მოიძიებდი, უფრო თავდაჯერებული რომ იყო საკუთარ არჩევანში?

პროფესიული არჩევანი

საკითხი: პლაგიატი

მიზანი: ცნობიერების ამაღლება ინტელექტუალური საკუთრების დაცვის აუცილებლობის შესახებ.

გიორგი საკმაოდ დამოუკიდებელი ახალგაზრდაა. მაღალმთიან სოფელში გაიზარდა და იქ დაასრულა სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა უნივერსიტეტში, სწავლის პერიოდშივე დაოჯახდა და დამოუკიდებლად შეუდგა ოჯახზე ზრუნვას. დღისით უნივესიტეტში იყო, საღამოს მუშაობდა. მალე შვილიც შეეძინა, თუმცა პატარა გოგონას ჯანმრთელობის თანდაყოლილი პრობლემა აღმოაჩნდა, რომლის მკურნალობაც მხოლოდ ევროპის რამდენიმე ქვეყანაშია შესაძლებელი.

რთული ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად გიორგიმ წარმატებით დაასრულა ბაკალავრიატი.

მან უნივერსიტეტის ვებგვერდით შეიტყო, რომ ევროპის ერთ-ერთ უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე კონკურსი გამოცხადდა. გამარჯვებული კანდიდატის სწავლების საფასური და საცხოვრებელი სრულად ფინანსდება. ამავდროულად, სტუდენტი სტიპენდიასა და ჯანმრთელობის დაზღვევასაც მიიღებს. ეს კი არაჩვეულებრივი შანსია გიორგისთვის და მისი ოჯახისთვის, რაც გიორგის კარიერულ

წინსვლასაც წაადგება და შვილის მკურნალობასაც. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია კვლევითი ნაშრომის წარდგენა. ნაშრომის ჩაბარების დრო კი ორ დღეში იწურება.

გიორგი თავს ვერ უყრიდა იდეებს, რამაც პანიკაში ჩააგდო. მსგავსი ინოვაციური მასალების მოძიება ინტერნეტში დაიწყო და წააწყდა არაჩვეულებრივ ახალ კვლევას, რომელიც ზუსტად მიესადაგება კონკურსში მონაწილეობის მოთხოვნებს. გიორგი საგონებელშია - როგორ მოიქცეს?

გთხოვთ, სიტუაცია შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით გააანალიზოთ:

- რომელი ღირებულებებია წარმოდგენილი დილემის ცენტრში?
- რომელ ღირებულება იქნება წამყვანი გიორგისთვის, თუ ის ინტერნეტში მოძიებულ ნაშრომს წარადგენს კონკურსში?
- რომელი ღირებულება იქნება წამყვანი გიორგისთვის, თუ ის ინტერნეტში მოძიებული ნაშრომის წარდგენაზე იტყვის უარს?
- თქვენ როგორ მოიქცეოდით მის ადგილას? გთხოვთ, მოიყვანოთ დასაბუთებული არგუმენტები;
- რა კომპეტენცია სჭირდება ადამიანს მსგავს სიტუაციაში მართებული გადაწყვეტილების მისაღებად?

ლუკას არჩევანი

საკითხი: საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა

მიზანი: მოზარდებში საკუთარი ონლაინ უფლებებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერება, სხვების უფლებებისა და პასუხისმგებლობების დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

ლუკა და ნია ბავშვობის მეგობრები არიან. ნია სოციალურად დაუცველი ოჯახიდან არის და ამ ბოლო დროს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან გაუარესდა. ლუკას ძალიან უკვირს, ამდენი პრობლემის მიუხედავად, ნია მაინც რომ ახერხებს სხვადასხვა პროექტში აქტიურად მონაწილეობას, განსაკუთრებით საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება სურს და მიზნად აქვს დასახული სასწავლებლად სტიპენდიის მოპოვება. სწორედ ამ დროს ერთ-ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ გერმანიაში სწავლის გაგრძელების მსურველი მოსწავლეებისთვის კონკურსი გამოაცხადა. სასწავლო სტიპენდიასთან ერთად ორგანიზაცია მოსწავლეს სამედიცინო დაზღვევასაც სთავაზობს. ეს ინფორმაცია დირექტორმა მიაწოდა ლუკას, როგორც მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარეს და სთხოვა, ის სკოლის სოციალურ გვერდზე გაავრცელოს. ლუკამ იცის, რამდენად მნიშვნელოვანია ეს სტიპენდია ნიასთვის, თუმცა,

იმასაც აცნობიერებს, რომ ამ კონკურსით ბევრი უფროსკლასელი დაინტერესდება და დიდი კონკურენცია იქნება. ამიტომ ძალიან რთული არჩევნის წინაშე დგას, ბევრს ფიქრობს, რა მოიმოქმედოს - მხოლოდ ნიას აცნობოს კონკურსის შესახებ, თუ ინფორმაცია სკოლის სოციალურ ქსელში ატვირთოს.

გთხოვთ, სიტუაცია შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით გააანალიზოთ:

- იმსჯელეთ და შეაფასეთ ლუკას ქმედება;
- რომელი ღირებულებები უპირისპირდება ერთმანეთს მოცემულ სიტუაციაში?
- თქვენ როგორ მოიქცეოდით ლუკას ადგილას? რატომ?
- თქვენი აზრით, რა შედეგი მოჰყვება ლუკას საქციელს?
- რა ცოდნა დაგჭირდებათ მსგავს სიტუაციაში გადაწყვეტილების მისაღებად?

„წყვილურთხმელა"

საკითხი: ზრუნვა ტრადიციებსა და ბუნებრივ გარემოზე

მიზანი: მოსწავლეებში კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოსდაცვით საკითხებზე ცნობიერების ამაღლება.

სოფელ წყვილურთხმელაში არსებობს ერთი ტრადიცია, რომელიც საუკუნეებს ითვლის. წყვილები როცა ოჯახდებოდნენ, სოფლის განაპირას რგავდნენ ოჯახის სახელობის ურთხმელის წყვილ ხეს. სოფლის სახელწოდებაც ამ ტრადიაციას უკავშირდება. სოფელი თითქმის ურთხმელის ტყედ იქცა. საქმე იქამდე მივიდა, რომ საუბარი დაიწყო სოფლისთვის ბუნებრივი ძეგლის სტატუსის მინიჭებაზე. წინაპრების ტრადიციას ახალგაზრდა თაობაც აგრძელებს - არა მარტო ქორწინების, არამედ ბავშვის დაბადების შემთხვევაშიც რგავენ სახელობით ხეებს. ასე იქცა ეს დასახლება მწვანე სოფლად.

არსებული გარემოდან გამომდინარე სოფელს ტურისტული პოტენციალი აქვს. ამავე დროს, თემში დასაქმების პრობლემაა. სწორედ ამ დროს წყვილურთხმელაში უცხოეთიდან ჩამოვიდა თანამემამულე წარმატებული ბიზნესმენი, რომელიც მოსახლეობას შეხვდა და დაპირდა, რომ ურთხმელის ტყის სამი ჰექტარის გაჩეხვის შემთხვევაში ააშენებს სასტუმროს, რომელშიც ადგილობრივებს დაასაქმებს,

ხოლო გაჩეხილი ხეების სანაცვლოდ სხვა ტერიტორიას გაანაშენიანებს.

ამასთან დაკავშირებით მოსახლეობის აზრი ორ ნაწილად გაიყო, დაპირისპირებამ სერიოზული სახეც მიიღო. ერთნი მხარს უჭერენ ხეების გაჩეხვას დასაქმების სანაცვლოდ, ხოლო მეორე ნაწილი ტყის გაჩეხვაში ტრადიციის უპატივცემლობას, ეკოლოგიურ საფრთხესა და სოფლის პირვანდელი იერსახის დაკარგვის საშიშროებას ხედავს.

გთხოვთ, აღნიშნულ სიტუაციაზე შემდეგი კითხვების მიხედვით იმსჯელოთ:

- რა პრობლემის წინაშე დადგა წყვილუთხმელას მოსახლეობა?
- რა ღირებულებების დაპირისპირება მოხდა?
- რა არგუმენტს მოიყვანდნენ ტყის გაჩეხვის მომხრეები?
- რა არგუმენტს მოიყვანდნენ ტყის გაჩეხვის მოწინააღმდეგეები?
- ასეთ სიტუაციაში როგორი იქნებოდა თქვენი პოზიცია და რატომ?

კანონი თუ მორალი?!

საკითხი: ბულინგი, კიბერბულინგი

მიზანი: მოსწავლეები გააანალიზებენ, რამდენად მნიშვნელოვანია საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვა, შეაფასებენ კიბერბულინგის საფრთხეებს, მათ გამომწვევ მიზეზებს და პრევენციის გზებს შეიმუშავებენ.

ნინო და მარიამი ერთ სკოლაში, მე-8 კლასში სწავლობენ და ბავშვობიდან მეგობრები არიან. სექტემბერში მათ სკოლაში ახალი მოსწავლე - გიორგი გადმოვიდა. გიორგიმ გადმოსვლისთანავე კლასში პოპულარობა მოიპოვა, განსაკუთრებით გოგონებში. მათ შორის იყვნენ ნინო და მარიამიც. თუმცა, გიორგის ყურადღება მარიამმა მიიპყრო და ნინოს, უბრალოდ, მეგობრად თვლის. ნინო ამას არ იმჩნევდა მარიამთან ურთიერთობისას, თუმცა, შინაგანად ეს სიტუაცია ძალიან ანერვიულებდა. ამიტომ გადაწყვიტა, ემოქმედა: შექმნა ყალბი ანგარიში, სადაც საჯაროდ ატვირთა მარიამის რამდენიმე არასასურველი ფოტო, რომელიც ფოტოშიპით დაამუშავა, მონიშნა გიორგი წარწერით და დამცინავი ღიმილაკებით: ეს გოგო მოგწონს? ფოტო თანაკლასელებში სწრაფად გავრცელდა, რასაც მარიამის მძიმე რეაქცია მოჰყვა. საქმეში ჩაერთო სკოლის დირექცია, დამრიგებელი და მარიამის ოჯახი. სიტუაცია დაიძაბა. ნინოს შეეშინდა, საქმეში

პოლიცია არ ჩართულიყო. თავისი საქციელი გააანალიზა და სინდისმა შეაწუხა, მაგრამ მაინც ვერ გადაუწყვეტია, რა მოიმოქმედოს. ურჩიეთ: გაამჟღავნოს თუ არა საქციელი?

დილემა შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით გაანალიზეთ:

- რა პრობლემასთან გვაქვს საქმე?
- უნდა თქვას თუ არა სიმართლე ნინომ? რატომ?
- რა ტიპის დანაშაულია ნინოს ქმედება - სამართლებრივი თუ მორალური?
- მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა ყველაფერი გააკეთოს მიზნის მისაღწევად?
- როგორ ფიქრობთ, რა შედეგი დადგება, ნინომ რომ სიმართლე თქვას?
- რას ურჩევთ მარიამს, როგორ დაიცვას თავი?
- რატომ არის სხვისი ფოტოების ფალსიფიცირება და ატვირთვა მიუღებელი?
- თქვენ როგორ მოიქცეოდით ნინოს ადგილას? რატომ?

ნიკოს პროფესიული არჩევანი

საკითხი: პერსონალური მონაცემების დაცვა და უსაფრთხოება

მიზანი: მოსწავლე პერსონალური მონაცემების იდენტიფიცირებისა და დაცვის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ კომპეტენციებს შეიძენს.

ნიკო წარმატებული და ძალიან პერსპექტიული პროგრამისტია. დასაქმებულია ერთ-ერთი სამთავრობო უწყების საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში. ამჟამად მისი მიზანია, იპოვოს დამატებითი მაღალშემოსავლიანი სამსახური, დააგროვოს გარკვეული თანხა და სწავლა საზღვარგარეთ განაგრძოს. ვაკანსიების ძებნის დროს, გასაუბრების შემდეგ, ნიკოს დაუკავშირდა კომპანია, რომელიც საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას სთავაზობს მას. თუმცა, საზოგადოებაში გავრცელებულია ინფორმაცია, რომ აღნიშნული ორგანიზაცია არაკეთილსინდისიერი გზით შოულობს ფულს, ყურადღებას არ აქცევს პერსონალურ მონაცემებს და ა.შ. ნიკო საგონებელშია ჩავარდნილი.

სადისკუსიო კითხვები:

- რა ღირებულებებმა განაპირობა ნიკოს დაფიქრება?
- რა რჩევას მისცემთ ნიკოს?
- რამდენად უსაფრთხოა მსგავს კომპანიებთან თანამშრომლობა?
- თქვენ როგორ მოიქცეოდით ნიკოს ადგილას? დაასაბუთეთ პოზიცია;
- რა ცოდნა სჭირდება ნიკოს გადაწყვეტილების მისაღებად?

რა ქნას ნინიმ?

საკითხი- კიბერბულინგი

მიზანი - მოსწავლე ინტერნეტ სივრცეში არსებულ საფრთხეებს გაიაზრებს - თუ როგორ დაიცვას პერსონალური მონაცემები, რომ კიბერბულინგის/კიბერუსაფრთხოების პრევენცია შეძლოს.

15 წლის ნინი აქტიურია ტიკ-ტოკის ქსელში, საინტერესო და სახალისო ვიდეო კონტენტი აქვს. ერთხელ მან შეტყობინება მიიღო. 17 წლის სანდრო სწერდა, რომ ძალიან მოეწონა მისი ვიდეოები და გაცნობას სთავაზობდა. ნინი მის პროფილზე გადავიდა და სანდრო ვიზუალურად ძალიან მოეწონა. ისინი ხშირად სწერდნენ ერთმანეთს და დამეგობრდნენ, თუმცა, მხოლოდ ონლაინ. ნინის ასე ძალიან არავინ მოსწონებია და მიმოწერაც გრძელდებოდა. გოგონას ეჩვენებოდა, რომ მხოლოდ სანდრო უგებდა მას, ამიტომაც ძალიან ენდობოდა.

გარკვეული პერიოდის შემდეგ, სანდრომ მას ფოტოების გაგზავნა სთხოვა. თავიდან ამას უწყინარი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ დროთა განმავლობაში სანდროს მოთხოვნები გაიზარდა და თამამი ფოტოების გაგზავნაც სთხოვა. თავიდან ნინის ერიდებოდა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა. დროთა განმავლობაში სანდრო უფრო და უფრო მეტი ფოტოს გაგზავნას ითხოვდა ნინისგან. სიტუაცია გამწვავდა, როცა ნინიმ უარი უთხრა ფოტოების გაგზავნაზე - სანდრო დაემუქრა, რომ თუ არ გაუგზავნიდა ახალ ფოტოებს, ძველებს სოციალურ ქსელში გამოუქვეყნებდა. ნინიმ წარმოიდგინა ხალხისა და მშობლების რეაქცია, კომენტარები და არჩია, ისევ გაეგზავნა...

ნინის მდგომარეობა სკოლაშიც გაუარესდა, ის ხშირად აცდენს გაკვეთილებს და თავს არიდებს მეგობრებს.

ეს ამბავი მხოლოდ ნინის მეგობარმა მარიამმა იცის, რომელიც თავიდანვე აფრთხილებდა მას; ეუბნებოდა, რომ არ მოსწონდა სანდროს ქცევა, მაგრამ ნინიმ კატეგორიულად აუკრძალა ამაზე საუბარი- უთხრა, რომ დაკარგავდა მეგობარს.

ამიტომ მარიამი ძალიან ნერვიულობს და ვერ გაუგია, როგორ მოიქცეს - სიმართლე უთხრას ნინის მშობლებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ძალიან მკაცრად დასჯიან მას, თუ შეინახოს მეგობრის საიდუმლო.

დილემა შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით გააანალიზეთ:

- როდესაც მარიამი დილემის წინაშე დადგა, რომელი ღირებულებები მოვიდნენ ერთმანეთთან კონფლიქტში?
- რა პრობლემის/პრობლემების წინაშე აღმოჩნდა ნინი? რა იყოს ამის მიზეზი?
- თქვენ როგორ მოიქცეოდით მარიამის ადგილას? გთხოვთ, დაასაბუთოთ თქვენი ქცევის მართებულობა.
- რა კომპეტენციებს უნდა ვფლობდეთ იმისათვის, რომ მსგავს სიტუაციაში რომ არ ჩავიყენოთ თავი?

ქეისის შეფასების ჰოლისტური რუბრიკა

• სიტუაციაში მოცემული პრობლემა ზუსტად და კონკრეტულად არის იდენტიფიცირებული, ანალიზი სრულყოფილადაა წარმოდგენილი; ჩანს პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალის სრულყოფილი ცოდნა, რაც ადეკვატურად უკავშირდება კონკრეტულ სიტუაციას; ანალიზში ნაჩვენებია პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები; რეკომენდაციები სრულად ემსახურება პრობლემის გადაჭრას, მოცემულია ის სასურველი შედეგებიც, რომელებიც პრობლემის გადაჭრით მიიღწევა. (5 ქულა)

• სიტუაციაში მოცემული პრობლემა, ძირითადად, იდენტიფიცირებულია სწორად; ანალიზი წარმოდგენილია, თუმცა, არ არის სრულყოფილი; პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალა მოცემულია, მაგრამ ნაკლებად არის კავშირში კონკრეტულ სიტუაციასთან; ანალიზში ნაჩვენებია პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები, მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც პრობლემის გადაჭრას ემსახურება, მაგრამ არ არის მოცემული, ან არასრულადაა წარმოდგენილი ის სასურველი შედეგები, რაც შემოთავაზებულ რეკომენდაციებს მოჰყვება. (4 ქულა)

• სიტუაციაში მოცემული პრობლემა მეტ-ნაკლები სიზუსტითაა იდენტიფიცირებული; ანალიზი წარმოდგენილია, თუმცა, სრულყოფილი არ არის; პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალა მწირია და ნაკლებად უკავშირდება კონკრეტულ სიტუაციას; ანალიზში არ ჩანს პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები, არასრულადაა მოცემული რეკომენდაციებიც, რომლებიც პრობლემის გადაჭრას ემსახურება; მოცემული არ არის, ან

არასრულადაა წარმოდგენილი ის სასურველი შედეგები, რაც პრობლემის გადაჭრას მოჰყვება. (3 ქულა)

- სიტუაციაში მოცემული პრობლემა მეტ-ნაკლები სიზუსტითაა იდენტიფიცირებული; ანალიზი არ არის წარმოდგენილი, მოცემულია მხოლოდ ქეისის პერეფრაზი; არ ჩანს პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალის ცოდნა; ანალიზში წარმოდგენილი არ არის პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები; რეკომენდაციები, რომლებიც პრობლემის გადაჭრას ემსახურება, ძალიან მწირია და ისიც ზოგადი, არაფრისმომცემი; არ არის მოცემული, ან არასრულია ის სასურველი შედეგები, რაც პრობლემის გადაჭრას მოჰყვება. (2-1 ქულა)

- სიტუაციაში მოცემული პრობლემა არასწორადაა იდენტიფიცირებული, ანალიზი არ არის მოცემული და თუ მოცემულია - არასწორად; პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალის ცოდნა და კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირება არ ჩანს; ანალიზში არ არის წარმოდგენილი პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები; არ არის, ან არასწორადაა მოცემული რეკომენდაციები, რომლებიც პრობლემის გადაჭრას ემსახურება; არ ჩანს ის სასურველი შედეგები, რაც პრობლემის გადაჭრას მოჰყვება. (0 ქულა)

ქეისის შეფასების ანალიტიკური რუბრიკა

კრიტე- რიუმები	**1**	**2**	**3**	**4**
პრობ- ლემის იდენტი- ფიცირე- ბა	სიტუაციაში მოცემული პრობლემა არასწორად არის იდენტიფი- ცირებული	სიტუაციაში მოცე-მული პრობ-ლემა მეტ-ნაკლები სიზუსტითაა იდენტიფიცი- რებული	სიტუაციაში მოცემული პრობლემა, ძირითადად, სწორადაა იდენტიფი- ცირებული	სიტუაციაში მოცემული პრობლემა ზუსტადაა იდენტიფიფი- ცირებული
ანალიზი	ანალიზი წარმოდგენი- ლი არ არის, მოცემულია მხოლოდ ქეისის პერეფრაზი; პრობლემას- თან დაკავში- რებული თეორიული მასალის ცოდნა არ ჩანს. ანა- ლიზში არ ჩანს პრობ- ლემიდან გამომდი- ნარე არასა- სურველი შედეგები.	ანალიზი წარმოდგე- ნილია, თუმცა, არ არის სრულყო- ფილი; პრობლემას- თან დაკავ- შირებული თეორიული მასალა მწირია და ნაკლე- ბად დაკავში- რებული კონკრეტულ სიტუაციასთან; ანალიზში არ არის ნაჩვენები პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები.	ანალიზი წარმოდგენი- ლია, თუმცა, შედარებით ზოგადია, პრობლემას- თან დაკავ- შირებული თეორიული მასალა მოცე- მულია და მეტ-ნაკლე- ბად დაკავშირე- ბული კონკრეტულ სიტუაციას- თან.	ანალიზი სრულყოფი- ლადაა წარ- მოდგენილი, ჩანს პრობ- ლე-მასთან დაკავშირებუ- ლი თეორიუ- ლი მასალის სრულყოფი- ლი ცოდნა, რომელიც ადეკვატურად უკავშირდება კონკრეტულ სიტუაციას. ანალიზში ნაჩვენებია პრობლემი- დან გამომ- დინარე არასასურ- ველი შედეგები.

რეკომენ-დაციები	რეკომენდა-ციები, რომ-ლებიც პრობლემის გადაჭრას ემსახურება, ძალიან მწირია და ისიც ზოგადი და არაფრის-მომცემი; მოცემული არ არის, ან არასრულია სასურველი შედეგები, რომლებიც პრობლემის გადაჭრას მოჰყვება.	შემოთავაზე-ბული რეკო-მენდაციები ზოგადია და ნაკლებად ემსა-ხურება პრობლემის გადაჭრას; მოცემული არ არის, ან არასრულია ის სასურველი შედეგები, რომლებიც პრობლემის გადაჭრას მოჰყვება.	მოცემულია რეკომენ-დაციები, რომლებიც მეტ-ნაკლე-ბად ემსახუ-რება პრობ-ლემის გადაჭ-რას, მაგრამ არ არის მოცემული, ან არასრულადაა ის სასურველი შედეგები, რომლებიც შემოთავა-ზებულ რეკო-მენდაციებს მოჰყვება.	რეკომენდა-ციები სრულად ემსახურება პრობლემის გადაჭრას; მოცემულია სასურველი შედეგები, რომელებიც პრობლემის გადაჭრის შედეგად მიიღწევა.

გამოყენებული და სარეკომენდაციო ლიტერატურა:

1. **მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი** (2017); განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება. მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი; ათასწლეულის გამოწვევის ფონდი.

2. **ეკატერინე შავერდაშვილი და თამარ მოსიაშვილი** (2018) ცოდნა და ღირებულებითი განათლება, თბილისი

3. **სოფიკო ლობჟანიძე, მანანა რატიანი და სხვ**.; (2016) მასწავლებლის წიგნი ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

4. **კუტალაძე ი.** (რედ.) (2010) ეფექტიანი სწავლება, გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის ლაბორატორია.

5. **ვულფოლკი ა.** (2009) განათლების ფსიქოლოგია, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

6. **როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება** (2007) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.

7. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა** (2007) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.

რესურსში მოცემულ ქეისებსა და დილემებზე პროექტის „მედიაწიგნიერება, როგორც მექანიზმი დეზინფორმაციის წინააღმდეგ მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის“ მონაწილე პედაგოგებმა იმუშავეს, კერძოდ:

ნინის ოცნება; ნიკას ამბავი - ეკატერინე ნადირაძე, ფიქრია მაჩიტიძე, მარი ჭელიძე, მაია კოპლატაძე

სიკეთე თუ...; გიორგისა და თეკლას ისტორია - ლილი შუბლაძე, სალომე მიქაძე, ფიქრია ჭიღვარია, ირინე კოპალიანი, სოფიო ობოლაძე

ანის პროტესტი; ნიას დილემა - ნინო გაფრინდაშვილი, ნინო ჩიხლაძე, ნინო მაჭარაშვილი, გიორგი ბენიძე, რაგული კალანდაძე

ამბავი, რომელიც სოციალურ საწარმო „პატრონუსს“ გადახდა- ნინო წილოსანი, ნანა მარღანია, ნანა კუპრეიშვილი, მაკა კვარაცხელია, გვანცა გრძელიძე

ფარულად გამჟღავნებული სიმართლე; მოახლოებული არჩევნები - თამარ გორგილაძე, ანა მელაძე, დარიკო მელაძე, მაკა ხინთიბიძე, ეკატერინე ნაროუშვილი

თემი ტყის პირას; ნატო მასწავლებლის დილემა - თეა ლომიტაშვილი, სოფიკო თევდორაშვილი, ნანა სურამელი, ნინო დოლიშვილი, დიმიტრი ჩუტკერაშვილი

თესეა; ძმის საფიქრალი - ლელა ფარსენაძე, ქეთევან ტალახაძე, მარიამ იაკობიშვილი, თორნიკე ხოხონიშვილი

ინტერნეტთაღლითობა; პროფესიული არჩევანი - მანანა მარგიანი, ნინო გელიაშვილი, ლელა კაპანაძე, ეკატერინე მამუკელაშვილი

„ბედნიერება“ ვირტუალურ სამყაროში; „წყვილურთხმელა“ - ლიანა ღუღუნიშვილი, ეთერ კაჭკაჭაშვილი, ბელა დიასამიძე, შორენა ხმალაძე, ნანა ნიკოლაშვილი

ლელას ისტორია; კანონი თუ მორალი - მიმოზა ღოლიჯაშვილი, ლია მელთაური, ნანა ლომიძე, ელენე წკრიალაშვილი, გიორგი ცერაძე

არასრულწლოვანი მოდელი; ვირტუალური მეგობარი - ინგა მოსიძე, მათიკო კოჩაძე, თამთა აბრამიძე, მაკა ჩიკვაიძე, შუშანიკა ჭკუასელი

სიკეთე თუ დანაშაული; სალომეს გასაჭირი - ზეინაბ კაკალაშვილი, ნინო შუხოშვილი, თამარ აბრამიშვილი, მადონა ჭრელაშვილი

ჰოლოკოსტი - ინგა გეგეშიძე, მაია გვასალია, ცირა ქობულაძე, ლელა ალანია, ხათუნა მიქავა

ლუკას არჩევანი - იზოლდა არზუმანიდუ, შორენა ყარალაშვილი, თამარ ცქიფურიშვილი, ეკა ტაბატაძე

ნიკოს პროფესიული არჩევანი - მაია გოგიბერიძე, თამარ მეგრელიშვილი, ნანა ბიგვავა, ნანა ირემაძე

რა ქნას ნინიმ?; გიგას პირველი სამსახური - დალი ბროლიძე, იზა წიქარიძე, სუზანა ბერიძე, კლარა დვალიშვილი